პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 27 მარტი, 1949 წ. № 60 (8363). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — ღირსეული შეხვედრა! — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვის (მე-2 გვერდი).
დ. ამირანიძე — სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სახელწოდების მოსაპოვებლად (მე-2 გვერდი).
სიმონ ჩიქოვანი — გაზაფხული მერხეულში (მე-3 გვერდი).
ვლადიმერ თორდუა — ერთ სოფელში (მე-3 გვერდი).
ვ. გონგაძე — თეთრი წყარო კეთილმოწყობილი ხდება (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — ღირსეული შეხვედრა!

მეოთხე სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ძმებ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხებთან ერთად, სერიოზულ გამარჯვებებს აღწევენ. ხუთწლედის განვლილი სამი წლის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობა წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებდა საწარმოო გეგმებს, განუხრელად ადიდებდა პროდუქციის გამოშვებას, აფართოებდა ასორტიმენტს, აუმჯობესებდა ხარისხს, ეუფლებოდა მაღალნაყოფიერი რთული დაზგებისა და მანქანების, ახალ-ახალი ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ტექნიკას.

მრეწველობის მუშაკების მიერ მოპოვებულ წარმატებათა შედეგად მიმდინარე წლის დასაწყისისათვის საერთო პროდუქციის მოცულობამ უკვე შეადგინა ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის გათვალისწინებული ოდენობის 86,9 პროცენტი, რაც იმის გარანტიას წარმოადგენს, რომ წარმოების დონის მხრივ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა უკვე მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის შეასრულებს თავის ხუთწლედს.

მაღალნაყოფიერი შრომით დაიწყო ახალი ხუთწლედის მეოთხე წელი. თბილისის მრეწველობამ, რომელიც წამყვანია რესპუბლიკაში, სასახელოდ დასძლია ზამთრის თვეების მუშაობის ძნელი პერიოდი და თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულა როგორც იანვრის, ისე თებერვლის საწარმოო გეგმები და გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გაცილებით მეტი პროდუქცია მოგვცა. ასეთივე წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოებმა, ჭიათურელმა მაღაროელებმა, ზესტაფონელმა მეტალურგებმა, კასპელმა მეცემენტეებმა, რკინიგზელებმა.

ძალების დაუზოგავად შრომობენ რესპუბლიკის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები გასულ წლებში მოპოვებულ წარმატებათა შემდგომი გამრავლებისათვის, მიმდინარე წელს ჩვენს მრავალდარგოვან სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში მარცვლეულის, ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, შაქრის ჭარხლის, ყურძნის, ხილისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის.

ენერგიული შრომაა გაჩაღებული მრავალრიცხოვან სამშენებლო ობიექტებზე — ახალი ქარხნების, შახტების, ელექტროსადგურების, ნავთის ქაბურღილებისა და საბინაო მშენებლობებზე.

მაგრამ საბჭოთა ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ლენინ-სტალინის დიადი პარტია და ხალხთა გენიალური ბელადი დიდი სტალინი, არასოდეს არ კმაყოფილდება მიღწეულით. მისი მიზანია მუდმივი წინსვლა, სრული კომუნისტური საზოგადოების აშენება. ამ მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში იგი ფართოდ იყენებს ნაცად საშუალებას — სოციალისტურ შეჯიბრებას.

ახალი ხუთწლედის ვადამდე განხორციელებისათვის ბრძოლის განვლილი სამი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის მრეწველობის, ტრანსპორტის, ახალმშენებლობათა და სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სოციალისტური შეჯიბრების არა ერთი ახალი ფორმა გამოავლინეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ დანერგვისათვის. საკმარისია აღინიშნოს შარშან მოსკოველთა ინიციატივით დაწყებული სოციალისტური შეჯიბრება საწარმოთა რენტაბელური მუშაობისა და ზეგეგმითი დაგროვების გადიდებისათვის. ამ პატრიოტულმა ინიციატივამ, რომელმაც მთელი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლო მოიცვა, სახელმწიფოს შარშან მრავალი მილიარდი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა. საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებას ასევე ხელს უწყობს წელს მოსკოველთა ინიციატივით გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების შესახებ.

გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში სერიოზული წვლილი შეაქვს მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულების — პირველი მაისისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ღირსეული შეხვედრისათვის ყოველწლიურად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. საპირველმაისო შეჯიბრების გაჩაღებით შარშან საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის, ხოლო საოქტომბრო შეჯიბრების გაჩაღებით — წლიური გეგმები.

ახლოვდება მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაული — 1949 წლის პირველი მაისი. ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად წელს ჩვენი რესპუბლიკის თბილისის კვანძის რკინიგზელები გამოვიდნენ. რკინიგზელთა ამ თაოსნობამ ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო რკინიგზაზე, არამედ რესპუბლიკის მრეწველობის ყველა დარგში. საწარმოთა კოლექტივების, საქართველოს ყველა მშრომელის წინაშე წელს განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანებია დასახული. რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკები ერთმანეთს ეჯიბრებიან არა მარტო საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, არამედ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოსათვის ათობით მილიონი მანეთის განთავისუფლებისათვის, პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის.

ზოგიერთ საწარმოში უკვე შეაჯამეს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარების პირველი შედეგები. თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ ხუთი დღით დააჩქარა საბრუნავი სახსრების ბრუნვა და სახელმწიფოს უკვე გაუთავისუფლა 553 ათასი მანეთი. ამ მიმართულებით პირველ წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, კამვოლ-მაუდის ფაბრიკაში და ზოგიერთ სხვა საწარმოში.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლაში პირველი წარმატებებია აგრეთვე მოპოვებული რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მრავალ საწარმოში. „პირველხარისხოვანი პროდუქციის ბრიგადების“ საპატიო წოდების მოსაპოვებლად ახლა ჩვენში ასობით ბრიგადა იბრძვის.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების ღირსების საქმეა უფრო ფართოდ გააჩაღონ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულების, საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებისა და პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მაქსიმალურად გადიდებისათვის, სათავეში ჩაუდგნენ მუშათა მზარდ შრომითს აღმავლობას.

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, მორიგი გამარჯვებებით შევხვდეთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში!

ელექტროსადგურების სამინისტროს სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

ელექტროსადგურების სამინისტროს სოხუმის მაღალი წნევის ჰიდროელექტროსადგურის ძნელ პირობებში მშენებლობისა და ამუშავების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 26 მარტის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მუშაკთა ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: მებეტონე შ. ლ. ქორიძე, უბნის უფროსი ვ. კ. კორჩიკა, უბნის უფროსი ი. მ. მღებრიშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. მგელაძე და მშენებლობის უფროსი გ. ი. ჩოგოვაძე.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 8 კაცი; **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 14 კაცი; მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 9 კაცი და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 5 კაცი. (საქდესი).

საბჭოთა კომპოზიტორები — საკავშირო ალკკ XI ყრილობას

სახელმწიფო მუსიკალურმა გამომცემლობამ გამოსცა საკავშირო ალკკ XI ყრილობისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ნაწარმოებები.

კომპოზიტორების მიერ საბჭოთა პოეტების სიტყვებზე დაწერილი მასობრივი სიმღერები მოგვითხრობენ საბჭოთა არმიის კომკავშირელ მეომართა შესახებ, რომლებიც დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ. ხუთწლედის მშენებლობებზე ახალგაზრდობის შრომითი წარმატებებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი ნაწარმოებები გადმოგვცემენ ახალგაზრდა პატრიოტთა სიყვარულს სამშობლოსადმი.

ცალკე გამოიცა სიმღერები ე. ჟარკოვსკისა „კომკავშირელი მეგობრები“ მ. გოლოდნის სიტყვების მიხედვით, „ჩვენ ვიქნებით კომკავშირელები“ ა. ალექსინას სიტყვების მიხედვით, ი. დუნაევსკისა „ჩვენი ახალგაზრდობა მოდის“ მ. სვეტლოვის სიტყვების მიხედვით, ბ. შეხტერისა „დიად გმირობაზე“, ვ. მაკაროვისა „ახალგაზრდა მჭედელი“ და სხვ.

გამოცემულია კრებული „კომკავშირული სიმღერები“, რომელშიც შევიდა 14 საუკეთესო სიმღერა საბჭოთა ახალგაზრდობის შესახებ. (საქდესი).

ჩვენს რესპუბლიკაში

ბელადის მონუმენტი

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). სოფელ თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ინიციატივით აქ დაიდგა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მონუმენტი.

მონუმენტის irგვლივ კოლმეურნეები ლამაზ სკვერს აშენებენ.

ნოსირელთა პირობა

ცხაკაია. (საკ. კორ.). ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებით სახელმწიფოს გაუთავისუფლოს 81 ათასი მანეთი.

ქარხნის ხელმძღვანელმა მუშაკებმა გულდასმით წაიკითხეს „კომუნისტში“ გამოქვეყნებული პროფესორ ა. ინწკირველის წერილი: „რას ნიშნავს საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარება“, რომელიც დიდად დაეხმარა მათ ამ საკითხის უკეთ გარკვევაში.

ტრაქტორები სამუშაოდ გავიდნენ

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). ამ დღეებში მინდვრად გავიდა ლანჩხუთის მტს-ის 5 სატრაქტორო ბრიგადა 21 ტრაქტორის შემადგენლობით. სატრაქტორო ბრიგადები დაკომპლექტებული არიან საუკეთესო ძალებით. სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებად გამოყოფილი არიან უნარიანი და საქმის მცოდნე სპეციალისტები: გ. სანაძე, დ. ქიქავა, პ. სანაძე, ი. ალავერდიანი და ვ. მოქია.

სატრაქტორო ბრიგადები უზრუნველყოფილი არიან ყველა აუცილებელი საჭირო ინვენტარით და გასამართი ხელსაწყოებით.

სატრაქტორო ბრიგადები და ტრაქტორისტები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოთა ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ლუდის ქარხნის მშენებლობა

სტალინირი. (საკ. კორ.). სტალინირში შენდება ლუდის ქარხანა. უკვე დამთავრებულია ძირითადი სამუშაოები. მოეწყო სახარში საამქრო და მთავარი საწყობი. მშენებლობა უახლოეს ხანში დამთავრდება.

ქარხანა ყოველწლიურად 10.000 ლიტრ ლუდს დაამზადებს.

დახმარება ომის ინვალიდებსა და მრავალშვილიან დედებს

გურჯაანი. (საკ. კორ.). რაიონში 41 საკოლმეურნეო ურთიერთდამხმარე სალაროა შექმნილი, რომლებშიც გაერთიანებულია 5.895 წევრი. გასულ წელს მათი შემოსავალი შეადგენდა 8.235 ცენტნერ მარცვლეულს და 1.038.595 მანეთს. აქედან ომის ინვალიდებსა და მრავალშვილიან მარტოხელა დედებს მიეცათ 990,29 ცენტნერი მარცვლეული და 452.779 მანეთი.

სოფელ ახაშნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მარცვლეულით დახმარება გაეწია 13 ოჯახს, სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 16 ოჯახს. 17 ოჯახს მიუზიდეს 40 კუბმეტრი შეშა და გაუწიეს ფულადი დახმარება.

ქ. თბილისის სკოლების მოწინავე პედაგოგები, რომლებიც ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 2 მარტის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან ლენინის ორდენით. (მარცხნიდან მარჯვნივ) სხედან — ე. ქაჯაია, ე. ჭანტურია, ზ. ნადარაია; დგანან — დ. თინიკაშვილი-ჩიქობავა, ლ. დანელია და ა. გეგენავა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ძრავები ქართული ავტომანქანისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). საავტომობილო ქარხნის საამქროებში წელს სხვა ნაწილებთან ერთად უნდა დაამზადონ ავტომანქანა „ზის-150“-ის ძრავები. ამის განხორციელებამ მოითხოვა რთული დაზგა-დანადგარები, რომელთა დასამზადებლად ფართოდ გაჩაღებულია მუშაობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა დაზგათმშენებელ ქარხანაში. მაგალითად, მოსკოვის დაზგათმშენებელმა ქარხანამ ქუთაისის საავტომობილო ქარხნისათვის დაამზადა ავტომატური ხაზი ცილინდრთა ბლოკის დასამუშავებლად. ეს ხაზი დამონტაჟებულია მექანიკურ-ამწყობი კორპუსის მოტორების საამქროში.

გორკის დაზგათმშენებელმა ქარხანამ ქუთაისის ქარხნისათვის დაამზადა ფრეზერის დაზგები, ხარკოვის ლენინის სახელობის დაზგათმშენებელმა ქარხანამ ამწევი დაზგები, თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანამ რედუქტორები და მთელი რიგი სხვა რთული ჩარხები. რთული მანქანა-დანადგარებით ქუთაისის ავტოქარხანას ამარაგებენ აგრეთვე მინსკის და დნეპროპეტროვსკის საავტომობილო და დაზგათმშენებელი ქარხნები.

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიღებულ დაზგებს წარმატებით ამონტაჟებენ ქარხნის ახლად დამთავრებულ კორპუსში. ათასამდე ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლებიც პროფესიას მოსკოვისა და გორკის საავტომობილო ქარხნებში და რესპუბლიკის სპეციალურ სასწავლებლებში დაეუფლნენ, დღითიდღე იმაღლებენ კვალიფიკაციას და თავიანთი საქმის ოსტატები ხდებიან.

ბარაქიანი შრომადღე

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ შარშანდელი სამეურნეო წელი თვალსაჩინო გამარჯვებით დაამთავრა: მოკრიფა და ქვეყანას მისცა 152,6 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად 128 ტონისა, დაამზადა 913.300 ცალი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი, დიდი გადამეტებით შეასრულა ტუნგოს ჩაბარებისა და სხვა გეგმები.

კოლმეურნეობის შემოსავალმა შეადგინა 1.961 ათასი მანეთი. ყოველ შრომადღეზე კოლმეურნეებს გასამრჯელოდ ხვდათ 26 მანეთი და 52 კაპიკი ფულად და 2 კილოგრამი ხორბალი.

კოლმეურნე ა. მაჭუტაძის ოჯახმა შარშან 1.500 შრომადღე გამოიმუშავა და კოლმეურნეობიდან მიიღო 39.780 მანეთი და 3 ათასი კილოგრამი ხორბალი, კოლმეურნე ქალმა ს. მაჭუტაძემ — 35 ათასი მანეთი და 2.600 კილოგრამი ხორბალი, ხ. წერეთელმა — 25 ათასი მანეთი და 1.800 კილოგრამი ხორბალი. ასეთივე დიდი შემოსავალი მიიღეს კოლმეურნეებმა ა. ფალავამ, ბ. ჩახვაძემ, ა. ნაგერვაძემ და სხვ.

გეგმის გადამეტებით ჩაბარებულ პროდუქტებზე კოლმეურნეები მარტო პრემია-წანამატის სახით მიიღებენ 132 ათას მანეთს.

გზების გამწვანება

ახმეტა. (სპეც. კორ.). ტყისა და მწვანე ნარგავების გაშენებისა და დაცვისათვის რაიონში მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს. „ტყის დღესთან“ დაკავშირებით წელს დაირგვება 70 ათასი ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარე.

ენერგიულად მუშაობენ მთავარი გზების გასამწვანებლად. 15 კილომეტრის მანძილზე გზის ნაპირებზე უკვე დამთავრებულია ხის დასარგავი ორმოების ამოთხრა, სადაც დაირგვება 2.000 ძირი კაკლის ხე. რაიონის ცენტრში დამატებით დაირგვება აგრეთვე 500 ძირი ჭადარი.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლების ეზოების გამწვანებასაც. ახმეტის 8-წლიანი და სოფელ ქისტაურის საშუალო სკოლის ეზოებში გათვალისწინებულია დაირგოს 3 ათასამდე სხვადასხვა ჯიშის მცენარე.

100 ტონა აგურა ჩაი გეგმის გადამეტებით

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ზუგდიდის ჩარკვიანის სახელობის ჩაის საწნეხმა ფაბრიკამ 20 მარტისათვის მწვანე აგურა ჩაის გამოშვების კვარტალური გეგმა 106 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 420 ტონისა, გამოშვებულია 450 ტონა მზა პროდუქცია.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა კვარტალის დამლევისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 100 ტონა მწვანე აგურა ჩაი.

ციტრუსოვანთა ნერგები საუკეთესოდ გამოაზამთრეს

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ სანიმუშოდ მოწყობილ ფარდულში საუკეთესოდ გამოაზამთრა ციტრუსოვანთა 24.000 ძირი ნერგი, რომელთა დიდი ნაწილი განკუთვნილია ციტრუსოვანთა ახალ რაიონებში გასაგზავნად.

სანერგეში კოლმეურნეობა მარტო წელს დაამყნობს 40.000 ძირ ციტრუსოვანთა ნერგს, რომლის დიდი ნაწილი ლიმონი და ფორთოხალი იქნება.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების სემინარი

გორი. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომმა მოაწყო კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოკლევადიანი სემინარი, რომელიც 140 თავმჯდომარემ გაიარა.

სემინარის მეცადინეობაზე სოფლის მეურნეობის საკითხებზე მოხსენებით გამოვიდნენ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. კეჩხუაშვილი, პარტიის გორის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ქუჩუკაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. ზ. თავზარაშვილი, უფროსი აგრონომი ამხ. ა. ნოზაძე, აღრიცხვის ორგანიზატორი ამხ. მ. ცინცაბაძე, პარტიის გორის რაიკომის განყოფილებათა გამგეები ამხ. ს. ნოზაძე და გ. გიგაური.

კლუბის რეკონსტრუქცია

ტყიბული. (საკ. კორ.). დაიწყო სტალინის სახელობის შახტის მუშათა კლუბის რეკონსტრუქცია. კლუბს მაყურებელთა ფართო დარბაზის გარდა, რომელიც 300 კაცს დაიტევს, ექნება ფოიე, სხდომებისა და საცეკვაო დარბაზი, სამკითხველო, წრეების სამუშაო ოთახები და სხვ.

კლუბის დარბაზები და გარეთა ფასადი მდიდრულად იქნება გაფორმებული.

რვაბინიანი სახლი მტს-ის მუშა-მოსამსახურეთათვის

კასპი. (საკ. კორ.). ახალქალაქის მტს-მა დაამთავრა მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სახლი ამ დღეებში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

დავაჩქაროთ ურთიერთ ანგარიშსწორება საწარმოთა შორის

საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ დედაქალაქის სტალინის რაიონის ყველა საწარმოს კოლექტივები. მიმდინარე წლის პირველი ორი თვის განმავლობაში ბევრმა მათგანმა დიდ წარმატებას მიაღწია.

სახელმწიფო ბანკის სტალინის რაიონის განყოფილების მმართველმა ამხ. ტიშინმა საქდესის კორესპონდენტს აცნობა:

— სატრანსფორმატორო ქარხნის კოლექტივმა 1949 წლის ორი თვის განმავლობაში სახსრების ბრუნვა წლიური ნორმატივის მიხედვით 15,6 დღით შეამცირა 1948 წლის გეგმასთან შედარებით. ნედლეულისა და მასალების მარაგის უკეთესად გამოყენებით, მომარაგების გაუმჯობესებით აქ ამ ხნის განმავლობაში განთავისუფლებულია 1.200 ათას მანეთზე მეტი.

თითქმის ერთიორად დაჩქარდა საბრუნავი სახსრების ბრუნვა ხის დამმუშავებელ ქარხანაში. მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების შემცირებით, ზედმეტი მასალების რეალიზაციით, დაუმთავრებელი წარმოების ლიკვიდაციით აქ განთავისუფლებულია თითქმის ნახევარი მილიონი მანეთი.

ასეთი მაგალითები ცოტა როდია. მაგრამ დაწესებულებათა მრავალი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებს ყველა თავის შესაძლებლობას. ისინი სათანადო ყურადღებას არ აქცევენ დებიტორული დავალიანების უსწრაფეს ლიკვიდაციას. საწარმოთა ხელმძღვანელები, აგრეთვე საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ჩათვლის ოპერაციებს. ასე ეწოდება შემხვედრი პრეტენზიების დარგში საწარმოთა ურთიერთანგარიშსწორების სალიკვიდაციო საბანკო ოპერაციებს. მიმდინარე წლის ორი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბანკის რაიონულ განყოფილებაში 9 საწარმოს შორის შესრულდა ჩათვლის ოპერაციები 3.150 ათასი მანეთის საერთო რაოდენობით. ამან მათ შესაძლებლობა მისცა შეემცირებინათ ბანკისა და მიმწოდებლებისათვის თანხების გადაუხდელობა, ესე იგი დაეჩქარებინათ თავიანთი საბრუნავი სახსრების ბრუნვა. (საქდესი).

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი უნგრეთში

გასტროლები დაამთავრა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, რომელიც უნგრეთში იყო საბჭოთა კულტურის ერთთვიურთან დაკავშირებით. ანსამბლს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი. სამი კვირის განმავლობაში ანსამბლის გამოსვლებს დაესწრო 50 ათასზე მეტი მაყურებელი. ანსამბლი საგასტროლოდ იყო უნგრეთის სამრეწველო რაიონებში შალგოტარიანში, ოზდში, მიშკოლცსა და დიოშდიერდში. ანსამბლის გამოსვლებს ყველგან განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა.

უნგრეთში მოკლე ხანს ყოფნის დროს, წერს გაზეთი „საბად ნეპი“, საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლმა მოხიბლა დედაქალაქის მშრომელთა მრავალათასიანი მასები. ანსამბლი გამოდიოდა ახალგაზრდობის წინაშე, უნგრეთის არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების, პროფკავშირთა მუშაკების, სხვადასხვა ქალაქის მშრომელთა წინაშე. ანსამბლის გამოსვლები საქარხნო რაიონის ჩეპელის სასპორტო დარბაზში დღესასწაულად გადაიქცა. (საქდესი).

სამეცნიერო სესია

29 მარტს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში (რუსთაველის პროსპექტი, 29) შედგება სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ლ. პ. ბერიას წიგნისადმი — „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

სესიის დღის წესრიგი:

შესავალი სიტყვა (ამხ. ა. ქუთელია).

საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მარქსიზმის წარმოშობის საკითხის გაშუქება ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ (მომხსენებელი ამხ. ა. კიკვიძე).

„მესამე დასის“ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ბრძოლის გაშუქება ამხანაგ ლ. პ. ბერიას წიგნში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ (მომხსენებელი ამხ. დ. ლაშქარაძე).

„ბოლშევიკების ბრძოლა საქართველოში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისათვის (1921-1925)“ (მომხსენებელი ამხ. ლ. გორგილაძე).

პარტიული ცხოვრება

აგიტატორები გავიდნენ მინდვრად

შ. ყამბარაშვილი კაჭრეთის სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მესამე სატრაქტორო ბრიგადის აგიტატორია. აგიტკოლექტივის სემინარზე მას განუმარტეს, რომ აგიტატორი ნაკლოვანებათა სალი კრიტიკით უნდა გამოდიოდეს, იბრძოდეს მათი გამოსწორებისათვის, დაბრკოლებათა გადალახვისათვის. ეს მითითება დაეხმარა აგიტატორს სწორად გაეგო თავისი ამოცანა.

ამას წინათ სატრაქტორო ბრიგადას ხვნა უნდა დაეწყო. აგიტატორმა წინასწარ დაათვალიერა ბრიგადის სამუშაო ადგილი, ნახა, რომ სოფელ არაშენდას ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობის მიწის ნაკვეთი ხვნისათვის სათანადოდ არ იყო მომზადებული, გაწმენდას საჭიროებდა. აგიტატორმა მაშინვე მიიღო ზომები, აცნობა კოლმეურნეობის გამგეობას, რის შედეგადაც საქმე გამოსწორდა და ტრაქტორების მოცდენა თავიდან იქნა აცილებული.

— აგიტაციის ძალა მით უფრო დიდია, რაც უფრო ახლო დგას აგიტატორი ადამიანებთან, რომლებთანაც საუბრებს აწყობს, რაც უფრო ღრმად სწვდება იგი საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა კუნჭულს. ამაში საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი. ბრიგადის წევრები მე შემომჩივლებენ ხოლმე ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლის მათ მუშაობაში. ერთ-ერთი საუბრის დროს გავიგე, რომ ჩემი ბრიგადის ტრაქტორისტები ღამით მუშაობისათვის არ იყვნენ მზად. კოლმეურნეობამ ვერ უზრუნველჰყო ისინი სათანადო ბინით, გათბობით, წყლით და კვების პროდუქტებით. ეს საკითხები მხოლოდ მას შემდეგ მოგვარდა, როცა მათს შესახებ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას მოველაპარაკე. ტრაქტორისტები ამ ზრუნვამ წაახალისა და ხვნის ნორმების ერთისამად შესრულება იკისრეს, — გვითხრა კაჭრეთის მტს-ის მე-14 ბრიგადის აგიტატორმა ამხ. გ. ზირაქიშვილმა.

აგიტატორების შ. ყამბარაშვილისა და გ. ზირაქიშვილის მუშაობის მაგალითები გამონაკლისი როდია კაჭრეთის მტს-ში. აქ 18 აგიტატორი ეწევა ნაყოფიერ საქმიანობას. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კარგად დაყენებით უნდა აიხსნას ისიც, რომ მტს-მა ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი, ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 1 აპრილისა, დაამთავრა 1948 წლის 30 დეკემბერს. სატრაქტორო ბრიგადები უზრუნველყოფილი არიან კულტურული მომსახურებით. აქ ხშირად უჩვენებენ კინოსურათებს, აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს საინტერესო საკითხებზე. ტრაქტორისტები უზრუნველყოფილი არიან ჟურნალ-გაზეთებით. ამ დღეებში განახლდება საველე გაზეთების გამოშვებაც.

მტს-ის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ი. ანდრონიკაშვილი სისტემატურად აწყობს სემინარს, აგიტატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, საუბრებს უახლოეს ამოცანებზე, ხშირად ესწრება აგიტატორთა საუბარსაც და ადგილზევე უწევს მათ სათანადო ინსტრუქტაჟსა და დახმარებას.

— სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა და გავრცელება აგიტატორის პირდაპირი მოვალეობაა. ჩვენ, აგიტატორებმა, უნდა გავწიოთ შრომის მოწინავე ფორმებისა და მეთოდების პროპაგანდა, — განაცხადა სოფელ ჩალაუბანში აგიტატორთა ზონალურ თათბირზე აგიტატორმა თ. ზურაშვილმა.—ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობის მე-7 ბრიგადაში ვმუშაობ,—განაგრძო მან.—მარტის შუა რიცხვებში მოსულმა თოვლმა ცოტათი შეაგვიანა თესვის გაჩაღება, მაგრამ ეს დრო უქმად არ გაგვიტარებია. თესვისათვის უკეთესად მოვემზადეთ, სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებანი დავაზუსტეთ. მეშვიდე ბრიგადის მეორე რგოლმა (ხელმძღვანელი ამხ. ს. ყოყოჩაშვილი), რომელმაც შეჯიბრებაში პირველი რგოლი გამოიწვია, იკისრა ჰექტარზე მოიწიოს 23 ცენტნერი სიმინდი, 11 ცენტნერი მზესუმზირა, 18-20 ცენტნერი ხორბალი. ბრიგადამ მინდვრად უკვე გაიტანა 100 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი.

აგიტატორთა ზონალურ თათბირს ხშირად აწყობს პარტიის კაჭრეთის რაიკომი. ამ თათბირებზე ხდება აგიტატორთა უახლოესი ამოცანების განხილვა და საგიტაციო მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ამ დღეებში მოწყობილ ზონალურ თათბირებზე განხილულ იქნა საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების ღონისძიებანი. აგიტატორთა ყურადღება გამახვილებულ იქნა იმაზე, თუ როგორ უნდა დავრაზმოთ მთელი ძალები საგაზაფხულო თესვის მოკლე ვადებში დასამთავრებლად.

კაჭრეთის რაიონში გაჩაღებულია საგაზაფხულო თესვა. კოლმეურნეები, რომელთა შრომითს აღმავლობას სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები, იბრძვიან საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, საფუძველს უყრიან უხვ მოსავალს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც კარგად აქვთ შეგნებული მასებში პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობა, ფართოდ გაშალეს საგიტაციო-მასობრივი მუშაობა კოლმეურნეობებში. აგიტატორები მინდვრად გავიდნენ. საკოლმეურნეო ბრიგადებში, ფერმებში, სატრაქტორო ბრიგადებში 300-ზე მეტი აგიტატორი ეწევა ნაყოფიერ მოღვაწეობას. პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები საქმიან დახმარებას უწევენ აგიტატორებს. მრავალმხრივია ამ დახმარების ფორმები და მეთოდები. რაიონში შექმნილია 23 აგიტკოლექტივი. ისინი თვეში 3-4-ჯერ აწყობენ სემინარულ მეცადინეობას. სემინარებზე აგიტატორები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, რაც ეხმარება მათ მუშაობის უკეთ წარმართვაში. 11 მარტს პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი.

კოლმეურნეობათა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის ამას წინათ მოეწყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების რაიონული თათბირი. დამტკიცებულ იქნა კულტურული მომსახურების ღონისძიებათა გეგმა საგაზაფხულო თესვის პერიოდში, გადაწყდა აგიტბრიგადები შეიქმნას 4 სასოფლო საბჭოში. მოეწყობა აგრეთვე ერთი აგიტმხატვრული ბრიგადა. იმუშავებენ მოძრავი ბიბლიოთეკებიც. წაკითხულ იქნება ლექციები და მოხსენებები კოლმეურნეთათვის საინტერესო საკითხებზე. ფართოდ იქნება გამოყენებული მოძრავი კინო.

რაიონის ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათანადოდ არ აფასებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობას. ამის მაგალითს წარმოადგენს სოფელ კაჭრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. ი. სოლოღაშვილი). საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას არაფერი გაუკეთებია საკოლმეურნეო ბრიგადებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლისათვის. ამ კოლმეურნეობის პირველ ბრიგადას სრულიად არა ჰყავს აგიტატორი. IV ბრიგადის აგიტატორი კ. გაგოშიძე დიდი ხანია საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, ხოლო სამაგიერო აგიტატორის შერჩევაზე პარტორგანიზაციას დღემდე არ უფიქრია. უკეთესი მდგომარეობა არც V ბრიგადაშია, სადაც აგიტატორად გამოყოფილია კომუნისტი თ. სინჯიაშვილი. — დატვირთული ვარ, სამსახურის საქმეებს ვერ ვასწრებ, დრო აღარ მრჩება ბრიგადაში მისასვლელად, — უპასუხისმგებლოდ აცხადებს ამხ. სინჯიაშვილი. უკვე თვეზე მეტია, რაც იგი არ გამოჩენილა ბრიგადაში საუბრის ჩასატარებლად.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კოლმეურნეობა რაიონის ცენტრში, რაიკომის გვერდით მდებარეობს, სადაც თითქმის ყოველდღე შეივლიან ხოლმე რაიკომის მუშაკები.

სოფელ ნანიანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორმა ს. ნარიაშვილმა მიივიწყა თავისი მოვალეობა. იგი საუბარს იშვიათად ატარებს. ამხ. ნარიაშვილი პოლიტიკურადაც მოუმზადებელია, არ კითხულობს წიგნებს, გაზეთებს (გაზეთი მას გამოწერილიც არა აქვს), არ ზრუნავს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

პარტიის რაიკომმა მეტი უნდა იზრუნოს აგიტატორებისათვის მეცნიერულ-პოპულარულ, პოლიტიკურ და სასოფლო-სამეურნეო თემებზე ლექციებისა და მოხსენებების მოსაწყობად.

გაუმჯობესებას მოითხოვს თვალსაჩინო აგიტაციაც.

კაჭრეთელმა ბოლშევიკებმა უფრო მაღალ საფეხურზე უნდა აიყვანონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, ახლებურად მოაწყონ იგი. მათ ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ამხანაგ ჩარკვიანის სიტყვები იმის შესახებ, რომ აგიტაცია არის „პარტიის მძლავრი იარაღი მორიგი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად მშრომელთა მობილიზაციის საქმეში“.

ი. მახარაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

პროპაგანდისტთა 6-თვიანი კურსები

კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტთან მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა და კომკავშირის წესდების შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა 6-თვიანმა კურსებმა. კურსების მსმენელებად შერჩეულია 22 ამხანაგი კომკავშირული აქტივიდან, მათ შორის 4 პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი. კურსების ლექტორებად საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა პარტიის საქალაქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, ლექტორთა ჯგუფის წევრები, აგრეთვე კომკავშირის საოლქო და საქალაქო კომიტეტების ხელმძღვანელი ამხანაგები.

საოლქო თათბირი სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე

სტალინირი. (საქ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში ამ დღეებში შედგა თათბირი, რომელმაც განიხილა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ პარტიის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომების კულტსაგანმანათლებლო განყოფილებათა გამგეები და პრესის მუშაკები.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პერიოდში სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის უკეთ მოწყობის საკითხებზე ილაპარაკეს პარტიის ლენინგორის, სტალინირის, ჯავის რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა ამხ. გიგაურმა, ა. თომაევმა, თ. თედეევმა, პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. ცხოვრებოვმა.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

საპატიო წიგნში შეტანილნი

ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტში არსებულ საპატიო წიგნში პერიოდულად შეაქვთ ქვანახშირისათვის მებრძოლი მოწინავე ადამიანები, შახტის ვეტერანები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ქვანახშირის ამოღების საქმეს ემსახურებიან.

მიმდინარე წლის იანვარში ამ წიგნში ჩაიწერა ხუთი მეშახტის თ. ნანიკაშვილის, პ. გვეტაძის, დ. გიორგაძის, ე. ცნობილაძის, ს. სოფრომაძის სახელი. თვითეული მათგანი მრავალი წლის განმავლობაში უმწიკვლოდ მუშაობს შახტში.

საპატიო წიგნში დღემდე შეტანილია 23 მეშახტე. თავისი სამუშაო სტაჟითა და ენერგიული შრომით მათ საყოველთაო პატივისცემა აქვთ დამსახურებული მეშახტეთა შორის. ყველა ისინი ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან.

პირველად საპატიო წიგნში ჩაწერილია ქვანახშირის მონგრევის ოსტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ფურცხვანიძე, რომელსაც შახტში მუშაობის 25 წლის სტაჟი აქვს. ფურცხვანიძემ მრავალი მეშახტე აღუზარდა ქვანახშირის მრეწველობას, რომლებიც ახლა გვერდში უდგანან მას და ენერგიას არ იშურებენ მეტი ქვანახშირის მონგრევისათვის.

საპატიო წიგნში შეტანილია ამჟამად მოწინავე პირველი საექსპლოატაციო უბნის კომპლექსური ბრიგადის გამოცდილი ბრიგადირი, ორგზის ორდენოსანი დავით სუქნიძე. მან ოცდაათი წელი შახტში გაატარა. დიდი სამამულო ომის დღეებში დ. სუქნიძე დროის უმეტეს ნაწილს სანგრევში ატარებდა და 3-4 მეშახტის ნორმას ასრულებდა.

ომისშემდგომი ხუთწლედის სტახანოველთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს სპირიდონ ლანჩავას. იგი ტყიბულის შახტებში მრავალსანგრევოსნული მეთოდის დამნერგავია. სტახანოველი მეშახტე თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემს ყველა მნგრეველს. შახტში ათობით არიან ისეთი მეშახტეები, რომლებმაც ს. ლანჩავასაგან შეისწავლეს მრავალსანგრევში მუშაობა. ასეთ მეშახტეებად შეიძლება დავასახელოთ მნგრეველ-მებიგეები მ. გაგოშიძე, შ. ლაფაჩი, ა. გოგიძე, რომლებიც ქვანახშირის მონგრევის გეგმას ორმაგად ასრულებენ. სტახანოველი მნგრეველი ს. ლანჩავა შეტანილია შახტის საპატიო წიგნში.

ათეული წლების მანძილზე სტახანოვურად შრომობენ მეშახტე მნგრეველ-მებიგეები მამა და შვილი ე. და ს. სოფრომაძეები, ს. ლაფერაძე, ქ. ბეჭკენაძე, გ. კუბლაშვილი და სხვები. მათი სახელებიც ამშვენებს საპატიო წიგნს.

ძველი კადრის მეშახტეები, ქვანახშირისათვის თავგამოდებით მებრძოლი ადამიანები კვლავ დაუღალავად მუშაობენ შახტებში. მათ ირგვლივ ირაზმება ახალგაზრდა მეშახტეთა კოლექტივი, რომელიც აჩაღებს ბრძოლას ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის, ეკონომიისათვის, რენტაბელური მუშაობისა და საბრუნავი თანხების ბრუნვის დაჩქარებისათვის.

ვ. ცირეკიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდებისათვის

ქარელი

შედგა ქარელის რაიონის მოწინავე მეჭარხლეთა შეკრება. შეკრების მონაწილეებმა იკისრეს წელს რაიონში 1.500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 230 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, აქედან სარწყავი ნაკვეთების 820 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე — 260 ცენტნერი, ხოლო ურწყავი 700 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე — 170 ცენტნერი.

გადიდებული ვალდებულებები იკისრა შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მიღებაში ქარელის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ. ამ კოლმეურნეობის მერგოლეურმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარო გოჯელაშვილმა პირობა დადო 3 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღოს 800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო ერთ ჰექტარზე—1.100 ცენტნერი. სოფელ აბისისთავის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა ს. ლურსმანაშვილი, იკისრა 20 ჰექტარი ურწყავი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღოს 350 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, ხოლო 4 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე—520 ცენტნერი.

ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ხაშურის რაიონი. **(საქ. კორ.).**

ხაშური

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და მეჭარხლე სტახანოველების თათბირზე წელს შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარმა აგრონომმა ამხ. ქ. ხერხეულიძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შარშან იმ კოლმეურნეობებმა, რომლებმაც კარგად მოაწყეს შრომა, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მიიღეს. განსაკუთრებით ეს ითქმის ტეზრის, ტაშისკარის, ზემო და ქვემო ოსიაურის, გომის, აგარების და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებზე. მაგრამ უმრავლეს კოლმეურნეობებს დავალება არ შეუსრულებიათ. რაიონმა სახელმწიფოს დააკლო 18 ათას ცენტნერამდე შაქრის ჭარხალი. განსაკუთრებით ცუდად იმუშავეს ნაბახტევის, აძვისის, ფლევისა და კაკალათხევის კოლმეურნეობებმა.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ტეზრის, ალის, ზემო ოსიაურის, ვაყის და სხვა კოლმეურნეობებმა, მოწინავე ბრიგადებმა, რგოლებმა და ცალკეულმა მეჭარხლე კოლმეურნეებმა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ფოფხაძე, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა წელს ყველა კულტურის უხვი მოსავლის მიღების აუცილებლობაზე.

თათბირმა მიიღო მოწოდება რაიონის შაქრის ჭარხლის მთესველი კოლმეურნეობებისადმი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კასპის რაიონი. თავის მხრივ ხაშურელებმა იკისრეს წელს 1350 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღონ 200 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. **(საქ. კორ.).**

დავაჩქაროთ ციტრუსებისა და ხეხილის ნარგავების შეწამლვა

ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ხეხილის ბაღების შეწამლვის საგაზაფხულო სეზონს მომზადებული შეხვდა სუბტროპიკული კულტურების მავნებლებთან მებრძოლი გულრიფშის სამანქანო სადგურის კოლექტივი.

ამჟამად სადგური აწარმოებს სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ხეხილის ბაღების მექანიზებული აპარატებით შეწამლვას. უკვე შეწამლულია 300-მდე ჰექტარი ნარგავები. კოლმეურნეობათა დახმარებით შეწამლვა ორგანიზებულად მიმდინარეობს სოხუმისა და გულრიფშის რაიონებში. ტრაქტორისტმა გ. ცანავამ კოდორის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში 100 ჰექტარამდე ხეხილის ბაღი შეწამლა, ხოლო ს. ვართანიანმა ახალსოფლის (სოხუმის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში — 80 ჰექტარი.

მავნებლებთან მებრძოლი სადგურის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წელს შეწამლოს ათასი ჰექტარი ციტრუსოვანი პლანტაცია და ხეხილის ბაღი, ფუმიგაცია გაუკეთოს 970 ჰექტარ ჩაის პლანტაციას.

ზოგან ტრაქტორისტებს ხელს არ უწყობენ და შეწამლვა ნელი ტემპით მიმდინარეობს. სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილებები და კოლმეურნეობები ვალდებულნი არიან შეწამლვის საგაზაფხულო გეგმის დროულად შესრულებისათვის სათანადოდ დაეხმარონ ტრაქტორისტებს.

ს. ტონია

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

კონსულტაცია

სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სახელწოდების მოსაპოვებლად

ამას წინათ კრასნოხოლმის კამვოლური კომბინატის მოწინავე ადამიანი, ოსტატის თანაშემწე ალექსანდრე სტეფანეს-ძე ჩუტკიხი გამოვიდა საყურადღებო წინადადებით — მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სახელწოდების მოსაპოვებლად, ე. ი. შევქმნათ ისეთი ბრიგადები, რომლებიც მხოლოდ პირველხარისხოვან პროდუქციას გამოუშვებენ, და გავაჩაღოთ მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ამ დარგში საფაბრიკო პირველობისათვის.

ა. ჩუტკიხის ამ ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, არამედ სოციალისტური ინდუსტრიის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივებში. პროდუქციის საუკეთესო ხარისხისათვის ბრძოლაში მასობრივად ჩაებნენ საქართველოს მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებიც. საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სახელწოდებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმული არიან მქსოველები, მრთველები, ფეხსაცმლის მკერავები, დაზგათმშენებლები, მანქანათმშენებლები, მეტრიკოტაჟეები, ყველა პროფესიათა წარმომადგენლები.

ამხ. ა. ჩუტკიხი ამას წინათ გაზეთ „ტრუდში“ წერდა, რომ მას მოსდის აუარებელი წერილი მრეწველობის სხვადასხვა დარგების მუშაკთაგან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვაწყოთ შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სახელწოდების მოსაპოვებლად, საიდან დავიწყოთ ამ მხრივ მუშაობა, რა რჩევის მიცემა შეუძლია ამხ. ჩუტკიხს მათთვის.

ეს საკითხები ინტერესს მოკლებული არ არიან საქართველოს მრეწველობის მუშაკებისათვის, რომლებიც ჩაბმულნი არიან შეჯიბრებაში მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. ქვემოთ მკითხველს მოვუთხრობთ მათ შესახებ.

ბრუნვის დაჩქარების მთავარი ბერკეტი. საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარება საწარმოში ზეგეგმითი დაგროვების მიღწევისა და რენტაბელური მუშაობის პირველი მაჩვენებელია. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 103 მოწინავე საწარმოს კოლექტივთა ინიციატივამ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარებისათვის ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში სწორედ იმიტომ, რომ ეს არის სახალხო დოვლათის გადიდების, მოხმარების საქონლის სიუხვის შექმნის, სოციალისტური მშენებლობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის საუკეთესო საშუალება.

მაგრამ იმისათვის, რომ ბრუნვა დავაჩქაროთ, საჭიროა საბრუნავ საშუალებათა თვითეულ მანეთზე საწარმოებმა მოგვცენ რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება უკეთესი ხარისხის პროდუქცია. სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების ახლანდელ ეტაპზე პროდუქციის ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მანეთის კურსი თანდათან უფრო მტკიცდება, მოხმარების საქონლის მარაგი მატულობს და მომხმარებელს ახლა ყველა საშუალება აქვს შეარჩიოს მისთვის სასურველი ასორტიმენტის, ამავე დროს მაღალხარისხოვანი საქონელი. სავაჭრო მაღაზიათა თაროებზე რჩება გაუყიდავი საქონელი მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქონლის ან გარეგნობა, ან გამძლეობა და სხვა თვისებები ვეღარ აკმაყოფილებს მომხმარებელს.

მაშასადამე, რაც უფრო გააუმჯობესებს საწარმო პროდუქციის ხარისხს, გაფორმებას, ასორტიმენტს, მით უფრო მეტი მოთხოვნილება იქნება მოსახლეობაში ამ საქონელზე, მით უფრო დააჩქარებს საწარმო ბრუნვას და მით უფრო მეტ თანხას გაუთავისუფლებს სახელმწიფოს საკუთარ საბრუნავ საშუალებათაგან.

როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება? ავიღოთ მაგალითისათვის საფეიქრო საწარმო, ვთქვათ მაუდ-კამვოლის ფაბრიკა. ფაბრიკა უშვებს მაუდისა და კამვოლის ქსოვილებს. თუ ეს ქსოვილები ლამაზი, გამძლე იქნება, თუ ეს პროდუქცია გამოსადეგი იქნება მოდური ტანსაცმლისათვის, მასზე მომხმარებელი ყოველთვის წარადგენს მოთხოვნილებას. ქსოვილის მაღალი ხარისხი და ლაზათი კი იმაშია, რომ იგი კარგად შეღებილი იყოს, არსად ჰქონდეს ნასკვი, ნაქსოვი ხაზები გაღუნული არ იყოს, ძაფი — ნაწიბურიანი, გადასკვნილ-გადმოსკვნილი, კარგად იყოს გაუთოებული, კარგად მოჩითული და ა. შ.

ასეთი მაღალი ხარისხის ქსოვილი რომ მივიღოთ, საჭიროა მქსოველებს კარგად ჰქონდეთ გამართული საქსოვი დაზგები, ძაფის მრთველებმა მათ მიაწოდონ კარგად ჩამორთული ძაფი, შემდეგ, როდესაც ხამ ქსოვილს მივიღებთ, იგი კარგად გამოვხარშოთ, დაკვირვებით შევღებოთ და ა. შ. მაგრამ საქსოვი ძაფის კარგად ჩამორთვისათვის საჭიროა ნაზავის კარგად დამუშავება, რეცეპტის დაკვირვებით შედგენა. ცხადია, რომ თუ წარმოების კოოპერირებულ რგოლებში კარგად არ იმუშავეს, მქსოველს არ შეუძლია მაღალხარისხოვანი ქსოვილი მოგვცეს.

ა. ჩუტკიხის წინადადების დიდი მნიშვნელობა იმაშია, რომ ხარისხისათვის შეჯიბრება უნდა მოეწყოს ყველა რგოლში, რათა აღარ მოხდეს უხარისხო პროდუქციის გამოშვება.

საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სახელწოდებისათვის შეჯიბრება უნდა მოეწყოს სწორედ ამ საწარმოო რგოლების მიხედვით. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში ასეც მოიქცნენ. იქ გაჩაღებულია შეჯიბრება ნედლეულის საწარმოო მოძრაობის მთელ ხაზზე. ერთმანეთს ეჯიბრებიან მატყლის მრეცხავები, მჩეჩავები, ნაზავთა შემდგენლები, შემდეგ მრთველები, მქსოველები, მღებავები და ასე მანამდე, სანამ მზა პროდუქცია არ მიდის საწყობში და იქიდან სარეალიზაციოდ.

საუკეთესო პროდუქციის ბრიგადის სახელწოდებაზე შეჯიბრება უნდა მოეწყოს არა მარტო საწარმოო რგოლებში, არამედ დამამზადებლებს, ტრანსპორტის და საწყობების მუშაკებს შორისაც. ხშირია შემთხვევა, როდესაც ნედლეული ფუჭდება ტრანსპორტირების დროს და საწყობში ცუდად შენახვისას. ტრანსპორტირების დროს მატყლის ბარდანები უნდა დავაწყოთ გასუფთავებულ ავტომობილზე, ასევე საწყობში ბარდანების ახლოს არ უნდა ვიქონიოთ ზეთი ან მაზუთი, რომელსაც მატყლი იწოვს და ამით საბოლოოდ ფუჭდება.

ის, რაც ითქვა მაუდ-კამვოლის ფაბრიკის შესახებ, შეიძლება ითქვას ფეხსაცმლის საწარმოებისა, სამკერვალო ფაბრიკებისა, ლითონდამმუშავებელი ქარხნების შესახებაც. ყველგან, ყოველ საწარმოში, რა სახის პროდუქციასაც უნდა უშვებდნენ, საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სახელწოდებისათვის შეჯიბრება უნდა მოეწყოს წარმოების ყველა რგოლში, ყველა დეტალის, ყველა ნახევარფაბრიკატის დამზადებისას.

სოციალისტური შეჯიბრების ასეთი წესით მოწყობა შესანიშნავ ნაყოფს იძლევა. მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში, მაგალითად, ახლა არიან ბრიგადები, რომლებიც მხოლოდ პირველხარისხოვან პროდუქციას იძლევიან. ასეთია საქსოვი საამქროს ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. მახაშვილი ხელმძღვანელობს, ასეთია ამხ. პონომარენკოს ბრიგადა და სხვები. ფართოდ არის გაშლილი საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სახელწოდებისათვის შეჯიბრება ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაშიც. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან გამომჭრელები, საზედაპირეს გადამჭიმავები, მკერავები და სხვა პროფესიათა წარმომადგენლები. მათ შორის უკვე დაწინაურდნენ და ახლა მხოლოდ პირველხარისხოვან პროდუქციას იძლევიან გამომჭრელთა ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. ოვანესიანი ხელმძღვანელობს, ფეხსაცმლის მკერავთა ის ბრიგადა, რომელსაც ამხ. დუბკოვა ხელმძღვანელობს და მთელი რიგი სხვა ბრიგადები.

ტექნოლოგიური რეჟიმი და კონტროლი. სოციალისტური შეჯიბრების გაშლისას უსათუოდ საჭიროა კოლექტივის შემოქმედებითი აზრის წარმართვა ტექნოლოგიური რეჟიმის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ. საწარმოთა მეთაურებმა უნდა დაამუშაონ სათანადო თემატიკა, რომელიც მიზნად დაისახავს ამა თუ იმ ნახევარფაბრიკატის მისაღები ტექნოლოგიის გაუმჯობესებას და ეს თემატიკა მისცეს რაციონალიზატორებს წინადადებათა დასამუშავებლად. მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვთ.

შეჯიბრების სწორად წარმართვისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საოპერაციათაშორისო ტექნიკური კონტროლის გაძლიერებას. ყოველი დეტალის, ყოველი ნახევარფაბრიკატის ხარისხს მზა პროდუქციის ხარისხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ შეჯიბრებაში ჩაბმული ბრიგადების მუშაობა უნდა შემოწმდეს არა მარტოოდენ იმის მიხედვით, თუ როგორი ხარისხისაა ამ ბრიგადის მიერ მოცემული პროდუქცია, არამედ იმის მიხედვითაც, თუ როგორი იყო ეს ხარისხი საოპერაციათაშორისო გადასვლებისას.

ამხ. ა. ჩუტკიხს შეეკითხნენ — ხომ არ მოახდენს გავლენას პროდუქციის რაოდენობრივ გამოშვებაზე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მეტი ყურადღების მიქცევა? ამხ. ჩუტკიხმა ამ კითხვას ასეთი პასუხი გასცა:

„არა, არ მოახდენს. პროდუქციის რაოდენობრივობაზე ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა არ მოახდენს გავლენას და ამას ვამბობ საკუთარი გამოცდილების მიხედვით. თებერვალში ჩვენმა ბრიგადამ გამოუშვა მხოლოდ მაღალხარისხოვანი ქსოვილი, მაგრამ რაოდენობის მიხედვით ბრიგადამ ამავე დროს გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ვიმეორებ, ჩვენი ბრიგადა არავითარ განსაკუთრებულ „დათბუნებულ“ პირობებში არ ყოფილა, მუშაობდა სრულიად იმ პირობებში, როგორც დანარჩენი ბრიგადები, მაგრამ მივაღწიეთ მაღალ ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს. აქ მთავარი ის არის, რომ ბრიგადის თვითეულ წევრს გული შესტკიოდეს საერთო საქმისათვის“.

დ. ამირანიძე

სიმონ ჩიქოვანი

გაზაფხული მერხეულში

I.

შენი სოფლის ეშხით ვიწვი,
მახსენდება ომის წელი საშინელი.
გუშინ იყო თუ გუშინწინ
თვალწინ მიდგას მერხეული მაშინდელი.

საფრთხე ადგა მშობელ ფუძეს,
ველოდით და გულს იმედი ჩავაგონეთ.
ხალხის ხმაზე მოხველ უცებ,
ჩამოსვლის ხმა მთის წყალივით გაგვაგონე.

ყველგან გაჩნდი გასაჭირში —
იალბუზთან, კლუხორთან თუ დარიალთან,
გაჩნდი გორში და თბილისში
და ძაუგზე ძლევის დროშა აშრიალდა.

მთები, მთები, ტურფა მთები,
ბელადის მზით გამთბარი და ნაფერები,
მთად განვლილი ყრმობის წლები,
მყინვარები, ზვავები და ჩანჩქერები

გიხმობდა და მოსპე მტერი,
მშრომელ ხალხის იმედო და ნეტარებავ!
შინ დაგიხვდა სითბო კერის
და სილაღით მთის მდინარე გედარება.

მოუშველე მამულს დროზე,
შვილის გული განსაცდელში არ შეცდება.
როგორც ფიქრი სამშობლოზე
მერხეულში წყლის ჩხრიალი არ შეწყდება.

აწ ვერ დახრავს მუმლი მუხას,
არ იქნება მუხის ფესვი შერყეული.
ახლა ირგვლივ მთები ჰქუხან
და შრიალებს შრომით შენი მერხეული.

II.

წყალი მორბის ვიწრო ხევით,
თითქოს გიხმობს მერხეულის ნათესავო.
ჩხრიალებს თუ მთაში მღერის,
ცისკრისფერი, მთის მდინარე სათევზაო.

ხელი დავკარ ცისფერ ტალღას,
წყალი მოვსვი, შემდეგ შუბლი დავისველე.
მუმლი მუხას აწ ვერ დახრავს,
ვიფიქრე და რიყის ქვაზე დავისვენე.

წყალზე მოსულ პაპას ვთხოვე,
შენს სიყრმეზე რაც იცოდა ვათხრობინე,
ცხოვრების გზა როგორ ჰპოვე,
როგორ იგრძენ ხალხის წვა და საპყრობილე.

როგორ გასჭერ ძველი ჟამი,
პაპა ჰყვება და მე მთისკენ ვიხედები.
სადაც გედგა სახლი მამის
და ფრთებივით შრიალებდა იმედები.

შენს ეზოში გვიხმო პაპამ,
წინ მიდის და თუ ჩამოვრჩით ეწყინება.
კლდით მდინარე მოჰქუხს სწრაფად
და მთის წყალი შენს ბავშვობას ეწყვილება.

გაზაფხულის დილას ჰგევხარ,
ხმიანებენ მერცხლები და ბეღურები.
წასული ხარ, ბელადთან ხარ,
მაინც ხშირად მერხეულშიც გვეგულები.

სოფლის მუხაც შერხეულთ
ქარს აჩერებს, მზეს რტოებით ელირება,
ყველას გვხიბლავს მერხეული
და პაპასაც სიამაყით ელიმება.

III.

მთის ვიწროში დევის ლარზე,
მოჩხრიალებს მთის მდინარე გამჭვირვალე.
დავისვენე მწუხრის ჟამზე,
პეშვით წყალი კალმახივით ავიყვანე.

წყალი პეშვში მოკამკამე
ცას მაგონებს ან მდინარეს საკალმახეს.
ველი მთაში ზღვისფერ ღამეს,
ვიმეორებ მდინარის ხმას და შენს სახელს.

კლდესთან ერთი ელსადგური
ანათებს და მთაში ღამეს უმკლავდება.
ფეთქავს, როგორც შენი გული,
როგორც წყარო და ხალხის მზის უკვდავება.

მერხეულში რომ შუქია,
შენი ზრუნვის ერთი მცირე ნაკადია.
ხალხის შრომას შეუქმნია
და თვალივით მთის სიმწვანეს ახატია.

სახლს ვერ ვპოვებთ მწირს და ობოლს,
ყოველ ჭერზე მოკაშკაშე მნათობია.
შენს კუთხეს და მთელ სამშობლოს,
შენი ხელი, მშენებელი დასტყობია.

ერთს მცირე ხმას მეც ვატარებ,
მას ვამღერებ, რადგან მღერის ამინდია.
საქართველოს გულს გადარებ,
რომ ბელადის სიყვარულით აგინთია.

გრძნობას გულში მოკამკამეს
ცას ვამგვანებ და მდინარეს საკალმახეს.
მშრომელ ხალხის სიამაყეს
მე ვუგალობ შენს გულისთქმას და შენ სახელს.

განვამტკიცოთ მიღწევები, გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი

დუშეთის მტს-ის კოლექტივმა (დირექტორი ა. მანუკოვი, მოადგილე პოლიტდარგში ნ. ხეთაგური) კაჸრეთელ მექანიზატორთა პატრიოტული მოწოდების პასუხად ნაკისრი ვალდებულება 25 იანვრისათვის შეასრულა: 28 ტრაქტორის, 24 გუთნისა და სხვა იარაღების რემონტი მაღალი ხარისხით შესრულდა. დაზოგილია 10.000 მანეთი. საგაზაფხულო სამუშაოებისათვის საჭირო 140 ტონა საწვავისა და საცხების ანგარიშში უკვე შემოზიდულია 120 ტონა. მექანიზატორთა კადრებით მტს-ი მთლიანად უზრუნველყოფილია. სურამის მექანიზატორთა სკოლაში გაგზავნილია 3 კაცი. მიმდინარეობს 10 ტრაქტორისტის გადამზადება მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

წელს მტს-ი თავის მომსახურებაში დამატებით 5 კოლმეურნეობას აიყვანს, დაამუშავებს 2.000 ჰექტარით მეტ ფართობს, ვიდრე შარშან. ამ ამოცანის შესასრულებლად ყველა ტრაქტორი ორცვლიან მუშაობაზე იქნება გადაყვანილი. მიმდინარეობს მუშაობა ტრაქტორების განათებით უზრუნველყოფისათვის. გამზადებულია ერთი მოძრავი სახელოსნო. დამთავრდა მტს-ის 1949 წლის საწარმოო გეგმის, აგრეთვე სატრაქტორო ბრიგადების წლიურ დავალებათა შედგენა. გაეცნენ რა პარტიისა და მთავრობის დადგენილებას „საგაზაფხულო თესვისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობების მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მზადების მიმდინარეობის შესახებ", ტრაქტორისტებმა, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირებმა და სხვა მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარონ საგაზაფხულო ხვნა-თესვა, მნიშვნელოვნად გადააჭარბონ თვითეული ტრაქტორისა და სატრაქტორო ბრიგადის გამომუშავების ნორმებს და გაადიდონ მოსავლიანობა.

ამ წარმატებებთან ერთად მტს-ს აქვს ნაკლოვანებანიც. სატრაქტორო ბრიგადებს დღემდე არა აქვთ მოძრავი ტარა და საწვავის ჩასასხმელი ინვენტარი, არ დამთავრებულა კოლმეურნეობებთან ხელშეკრულების დადება, მათი განხილვა და რეგისტრაცია რაიაღმასკომში. ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

ა. თომაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

ყრილობის დადგენილებათა განხორციელებისათვის

„საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის" — ასეთი რუბრიკით დაბეჭდა თელავის რაიონულმა გაზეთმა „კოლმეურნის ხმამ" ამ რამდენიმე დღის წინათ სოფელ კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა კრების გადაწყვეტილება სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის" სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის შესახებ. კურდღელაურელმა კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წელს ერთიორად გაზარდონ ხორბლის, სიმინდის და ყურძნის მოსავალი, აითვისონ ახალი ნაკვეთები და ამავე მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს კოლმეურნეობა „წინსვლის" კოლმეურნეები. კურდღელაურელები წერენ:

„ჩვენმა კოლმეურნეობამ მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა გასული სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. კოლმეურნეობა მილიონერი გახდა. გაიზარდა შრომადღის ღირებულება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ. ჩვენი ვალია ბოლშევიკურად ვუზრუნველყოთ XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება".

„კომკავშირელ მევენახეთა პირობა"

სიღნაღელი კოლმეურნეები იბრძვიან საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. თავდადებით მუშაობენ კომკავშირელებიც.

„ქუმბათის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის კრებაზე აღფრთოვანებით გაეცნენ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობის გადაწყვეტილებათა საპასუხოდ კომკავშირელებმა ჩამოაყალიბეს მევენახეობის ახალი რგოლი, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება იკისრეს რგოლისათვის მიჩენილი 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 160 ცენტნერი ყურძენი. ამ ბრიგადის კომკავშირელები უკვე შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლას. 8 ჰექტარზე ვადამდე დაამთავრეს ვაზის გამობარვა, გასხვლა და სხვა სახის სამუშაოები", — წერს 5 მარტის ნომერში სიღნაღის რაიონული გაზეთი „კოლმეურნე".

აშენებენ ევკალიპტს

ცხაკაია. (საკ. კორ.). ცხაკაიას სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ჯეროვან ყურადღებას აქცევენ ევკალიპტის გაშენებას. წელს გათვალისწინებულია დარგონ 12.000 ძირი ევკალიპტი და ყოველ კილოგრამ თესლზე მიიღონ 30.000 ძირი სტანდარტული ნერგი, მიაღწიონ მის გახარებას 90 პროცენტით.

ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გაშენდება 28.000 ძირი ევკალიპტი. 25 კილოგრამი თესლის ყოველ კილოგრამიდან 12.000 ძირის ნაცვლად ნავარაუდევია 16.000 ძირი ევკალიპტის მიღება. ამ მიზნით ენერგიულად მუშაობენ სანერგის მუშაკი კოლმეურნე პლატონ ჭანტურია, აგროტექნიკოსი ალექსანდრე ლოლუა და სხვები.

დიდძალ ევკალიპტს დარგავენ აგრეთვე სოფელ ოქტომბრის ლენინისა და სოფელ მენჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში.

რაიონში წელს დაირგვება 393.000 ძირი ევკალიპტი.

თეთრი წყარო კეთილმოწყობილი ხდება

როგორც ცნობილია, თეთრი წყაროს რაიონის ცენტრი თბილისს დაშორებულია 65 კილომეტრით და საკურორტო ადგილია. აქ, განსაკუთრებით ზაფხულში, ძალიან ბევრი ხალხი ჩამოდის დასასვენებლად. მათ იზიდავს მშვენიერი ჰავა, საუცხოო წყალი, ლამაზი ბუნება.

ამ ბოლო დრომდე თეთრი წყარო კეთილმოწყობის მხრივ ბევრად ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა რაიონულ ცენტრებს, მაგრამ უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე აქ ბევრი რამ გაკეთდა და ახლაც კეთდება.

წინათ თეთრ წყაროში თითქმის არ იყო კაპიტალურად ნაგები რაიმე შენობა. ამჟამად რაიონულ ცენტრში თლილი ბაზალტის ქვით აგებულია სამსართულიანი ადმინისტრაციული სახლი, რომელიც უკვე გადაცემულია საექსპლოატაციოდ.

რაიონული ცენტრის მთავარი წყაროს ძველი გუმბათი სავსებით რეკონსტრუირებულია. შარშან დაიწყო და წელს დამთავრდება ქართული საშუალო სკოლის სხვადასხვა ფერი თლილი ბაზალტის ქვის სამსართულიანი შენობის აგება. იგი ერთ-ერთი მშვენიერი, არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული შენობა იქნება.

თეთრ წყაროში წინათ საერთოდ არ ყოფილა კეთილმოწყობილი ქუჩები. მთავარი ქუჩა, რომელიც ვიწრო, ტალახიანი და ძნელი გასავლელი იყო, შარშან გაფართოვდა და მთელი ფართობი დაგუდრონებულ იქნა. გარდა ამისა, აღნიშნული ქუჩის გაყოლებით ორივე მხარეს გაკეთდა ორნახევარი მეტრი სიგანის ტროტუარი, რასაც ამშვენებს ლამაზი ბორდიურები. შარშან დაიწყო და მიმდინარე წლის დამლევამდე დამთავრდება თეატრალური, ბაზრის, ბანკის, სატყეო მეურნეობის ქუჩების სრული რეკონსტრუქცია და დაგუდრონება.

მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გასული წლიდან რაიონის პოლიკლინიკაში გაიხსნა და მოეწყო ფიზიოთერაპიული, რენტგენ-დიაგნოსტიკური, კბილის საპროტეზო კაბინეტები, გაიხსნა აგრეთვე სატუბერკულოზო პუნქტი და კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია.

რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი ახალი მშენებლობა. მაგალითად, ამ უკანასკნელ ხანს სოფელ დიდი ირაგის კოლმეურნეობა „ნეაზოიში", სოფელ ჯორჯიაშვილის ჯორჯიაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში, სოფელ სამშვილდის „წითელი დროშის" სახელობის კოლმეურნეობასა და სხვა კოლმეურნეობებში აგებულია და საექსპლოატაციოდ გადაცემულია 19 კარგი საკოლმეურნეო შენობა. სოფელ საღრაშენის ორჯონიკიძის სახელობის, ფარცხისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობებში, პატარა ირაგის კოლმეურნეობა „რიზოსპასტისში", პრიუტის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში აგებული და საექსპლოატაციოდ გადაცემულია ოთხი ელექტროსადგური, რომელთაგან თვითეული 45 ცხენის ძალისაა. სოფელ ქოსოლარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან დაიწყო და წელს დამთავრდება 25 ცხენის ძალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

წინათ კოლმეურნეობებში სულ არ გვქონია აბანო, ახლა კი სოფელ პატარა ირაგის კოლმეურნეობა „რიზოსპასტისში", დაღეთხაჩინის სტალინის სახელობის, ენაგეთის ჩკალოვის სახელობის, კოდის ბაქრაძის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში აგებული და მუშაობს აბანოები.

რაიონის კოლმეურნეობებში აგებული და მოწყობილია 35 სამჭედლო, 16 სადურგლო, 22 აგურ-კრამიტის ქარხანა, 10 წისქვილი და სხვ.

ძველი და ახალი მარაბდის, დიდი და პატარა დურნუკის, საფუძვრების, ახალშენის, კონსტანტინოვკისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში, სადაც წინათ სასმელი წყალი არ ჰქონდათ, ამჟამად გაყვანილია წყალსადენი, რომელიც საკმაო რაოდენობით აწვდის მოსახლეობას სუფთა წყაროს წყალს.

რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატები დიდ ყურადღებას უთმობენ საგზაო მშენებლობას. უნდა აღინიშნოს რომ მეტად მოკლე ხანში გაყვანილ იქნა კარგი გზები მაწევან-დურნუკის, ჯორჯიაშვილ-ენაგეთის, იფნარა-სამღრეთის, მანგლის-თხინვალის, დაღეთხაჩინ-ორთაშუა-ბედენ-კლდეისის, პრიუტ-დრეს კოლმეურნეობებს შუა. ამ გზების საერთო სიგრძე 26 კილომეტრია.

გარდა ამისა, რაიონში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კოლმეურნეთა აქტიური დახმარებით გაყვანილ იქნა მარნეულ-ხრამჰესის 75 კილომეტრი გზა. ამ გზის 58 კილომეტრი გადის ჩვენი რაიონის ტერიტორიაზე.

თუ ახლო წარსულში რაიონის 19 სასოფლო საბჭოდან სატელეფონო-ქსელით უზრუნველყოფილი და რადიოფიცირებული იყო მხოლოდ 14 სასოფლო საბჭო, ამჟამად ყველა სასოფლო საბჭოს ცენტრი რადიოფიცირებულია და ერთმანეთთან დაკავშირებულია ტელეფონებით. რაიონის 92 კოლმეურნეობიდან 40 რადიოფიცირებულია და შეუფერხებელი სატელეფონო კავშირი აქვთ ურთიერთ შორის და რაიონის ცენტრთან.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ სასკოლო მშენებლობის საქმეს. გარდა იმისა, რომ რაიონში სკოლები შენდება სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით, პატარა დურნუკის, ტბისის, ლიპის, მენკალისის, მეწევანის და სხვა სოფლების კოლმეურნეებმა შრომითი მონაწილეობით ააგეს დაწყებითი სკოლების შენობები. ახლა კოლმეურნეთა ბავშვებს აღარ უხდებათ მეზობელი სოფლების სკოლებში სიარული სასწავლებლად.

აღნიშნული მიღწევებით არ ვკმაყოფილდებით. „...ჩვენ მოგველის უფრო რთული მუშაობა, ვინაიდან სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ზრდასთან ერთად, ფართოვდება კომუნიზმის მშენებლობის ფრონტი და, მაშასადამე, იზრდება ჩვენი ამოცანებიც". (კ. ჩარკვიანი).

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ დიდი ამოცანები დაგვისახა მეურნეობისა და კულტურის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების დარგში. ჩვენი რაიონის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უკვე შეუდგნენ ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლას. ეჭვი არ არის, რომ თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და დახმარებით წარმატებით შეასრულებენ მათს წინაშე დასახულ ამოცანებს, რაც ხელს შეუწყობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სტალინური პროგრამის განხორციელებას.

ვ. გონგაძე
საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი.

ერთ სოფელში

არ ვიცი რა ჰქვია იმ სოფელს, მატარებლის სარკმლიდან რომ მოჩანს!...

ერთი დღით გადავუხვიო მარშრუტს, ამით არაფერი დამიშავდება. თავისუფალი დროც მაქვს. მე მინდა ჩამოვიდე სწორედ აქ, ავიარო აგერ იმ სოფელში, სადაც არავის ვიცნობ, ვნახო მისი ველ-მინდვრები, ფეხი დავადგა იმ სოფლის მიწას, ვისუნთქო მისი გაზაფხულის ჰაერი, ველაპარაკო და გავიცნო მისი ადამიანები.

ამ სურვილმა ჩამომიყვანა მატარებლიდან, სანამ დანიშნულ ადგილას მივაღწევდი.

მატარებელი შეჩერდა ზღვის პირის ახლოს. ჩამოვედი. ზღვის შხუილი მოისმა. პირველად სწორედ ზღვას ვეწვიე — უცხო მგზავრი გვერდით როდი ჩაუვლის ბუნების ამ წარმტაც სანახაობას... მარტოობა მეუხერხულა, გამოვბრუნდი — ჩემს თვალწინ ხმელეთის აუწერელი მშვენიერება გადაიშალა: მზის სხივდაფრქვეული ზოგან ჯერ კიდევ თოვლიანი მთები, რომელთა მორის ლილისფერი ნისლი ჩამოწოლილა, ნაყანევი ვაკე და ჩაით მოხატული სერები... გავყევი გზას აღმა, იმ სერებისაკენ. პლანტაციებში აქა-იქ ადამიანთა მოძრაობა შევნიშნე. გზაზე მანქანა წამომეწია, გვერდით ჩამიქროლა და ახლოს გაჩერდა. კაბინიდან ახალგაზრდა კაცი გადმოვიდა—საშუალოზე დაბალი ტანისა იყო, სერიოზული, დინჯი გამომეტყველება ჰქონდა. მომესალმა, როგორც მიესალმებიან ხოლმე სოფლის გზაზე უცნობს.

— ჩააქრე მოტორი, — გასძახა მან შოფერს, — ავალ ერთი ბედრიესთან. საით თქვენი მგზავრობა, ამხანაგო? — მომმართა მერე მან შეკავებული თავაზიანობით.

მე ვუამბე.

ავყევით გზას. თვალმისაწვდომზე გადაშლილა ჩაის პლანტაციები.

— გამარჯობა ალი, რასა იქმ, — ომახიანად მიესალმა ჩემი თანამგზავრი პირველშეხვედრილ ბერიკაცს, რომელიც ძლივს ჩანდა მწკრივებს შორის.

— შექირის თავი მიცოცხლოს, შექირის, — გამოეპასუხა იგი უმალ, ისე, რომ არ გამართულა და არც ვედროსათვის შეუშვია ხელი, — ფოსფორს ვუყრი ჩაის!

ალიმ ჩაის ბუჩქის ძირებს მიუბერტყა ვედროში კიდევ ჩარჩენილი ფქვილისფერი წამალი და თავი ასწია. ახლა კი ენერგიულად დაგვიკრა თავი, მხიარულად გაიღიმა.

— ძალიან კი რგებს პლანტაციას ეს ფოსფორი და აზოტი,—სთქვა მან უფრო ჩემს გასაგონად. უთუოდ რაიონის აგრონომად მიგულვა.

— პლანტაცია.. ფოსფორი... აზოტი... როგორი იყო ნეტავ ალი კაცაძის ლექსიკონი ამ ოცი წლის წინათ? — მხიარულად ჩამილაპარაკა ბერიკაცით კმაყოფილმა შექირმა, როცა წასასვლელად გამობრუნდა, — ბედრიე არ დაგინახავს?—მიაძახა ბოლოს ალის.

— ბედრიე, გულიზარი, ისინი... ეგე, ჰე, იმ სერის ბოლოში არიან ახლა. აი სკენდერიც მოვიდა, ის წაგიყვანთ.

— მანქანით მოდი?—ჰკითხა მოსვლისთანავე ახალგაზრდამ, რომელიც ძალიან ჰგავდა შექირს და ქუდი გაისწორა, შუბლზე ხელი გადაისვა.

მათ ხელი არ ჩამოურთმევიათ ერთმანეთისათვის.

— ძმაა ჩემი, ბრიგადირი, — გამაცნო შექირმა.

— სკენდერ მახაძე! — სწრაფად მომიგო ახალგაზრდამ და ღონივრად ჩამომართვა ხელი.

— რა ჰქნა ბედრიემ, ხომ დარჩა ისევ იქ, — ჰკითხა შექირმა, — ავიდეთ ზევით, ვნახოთ.

— დარჩა, მაშ! გულიზარის რგოლშია, — უპასუხა ძმამ, — წავიდეთ!

როცა მივუახლოვდით ჩაის ნაკვეთს, ქალებმა თავი ასწიეს, ზოგმა მორცხვად შემოგვხედა და უსიტყვო სალამი მოგვცა. შექირი გამოელაპარაკა მათ. სკენდერი უფრო ახლო მივიდა ერთ მათგანთან, რომელიც ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო და უთხრა „ზევ თუ მორჩებით ამ უბანს"?

ახალგაზრდა ქალმა ოდნავი ღიმილით თავი დაჰხარა და მაკრატელს დაუწყო წვალება, რაღაც უხერხულობა იგრძნო.

— საზეგით რა არის. ხვალ შუადღიდან იმ ფართობზე გადავალთ, გაიშვირა მაკრატელი მან სერსგაღმა...

ეს ქალი იყო, როგორც მითხრეს, გულიზარ მახაძე, — მერგოლური, სკენდერის მეუღლე.

ამ დროს მკვირცხლად ჩამოირბინა პატარა ტანის გოგონამ, ახლოს მიიჭრა შექირთან გაწითლებული.

— წიგნები თუ მომიტანე? — აღფრთოვანებით, კისკისა ხმით შეეკითხა გოგონა.

— მოვიტანე, მანქანაში მაქვს. ამოდით საღამოს ბესირესთან.

ეს ყოფილა ბედრიე მახაძე — შექირისა და სკენდერის უმცროსი და.

ბესირეს სახელი მეცნაურა.

— ბესირე რა გვარია, შექარ, გამიგონია ეს სახელი, — ახლა უკვე როგორც შეჩვეულსა და ახლობელ კაცს, შევეკითხე შექირს.

— როგორ არ გაგვგონება ქართველ კაცს ბესირე კონცელიძე, სოციალისტური შრომის გმირი. ჩვენ გავივლით მის სახლში, ვნახავთ...

ძნელია იმ წუთში განცდილი სიხარულის გადმოცემა. შემთხვევით შემოველ ამ უცნობ სოფელში, მაგრამ ყველა და ყველაფერი ნაცნობი, ახლობელი შეიქნა. ბესირე კონცელიძის სოფელში მოვსულვარ, ხელით ვეხები იმ პლანტაციებს, ვდგავარ იმ მადლიან მიწაზე, რომელმაც ესოდენ ცნობილი გახადა ბესირე კონცელიძე.

უნებლიეთ თვალი გადავავლე იქ მომუშავე ქალებს, — რატომ არ შეიძლება რომ ესენიც გმირები გახდნენ!

ბედრიე მახაძე, თვრამეტი წლის ქალიშვილი, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე, წელან ძმას გახარებული რომ შემოეგება, მოწინავე კოლმეურნეა. მან დიდად გადააჭარბა შარშან იმ ნორმას, რაც სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას იძლევა.

— ნახევარ ჰექტარ უხვმოსავლიან ჩაის ნაკვეთში მიიღო 7.109 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. მაშაცურ შრომასთან ერთად, ბედრიე წელს დაამთავრებს საშუალო სკოლას და განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. ნამდვილად შეძლებულად ცხოვრობს კოლმეურნე ოსმან მახაძის ოჯახი, რომლის ერთ-ერთი წევრიც ბედრიეა. ამ ოჯახმა საკუთრივ შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა „მოსკვიჩი", რომელსაც ასე დააქროლებს ჩემი თანამგზავრი, ოსმანის ვაჟი შექირ მახაძე — კომკავშირის ქობულეთის რაიკომის მდივანი.

ახლა ბედრიეს სხვა ამხანაგი ქალებიც ჩამოვთვალოთ, გავიცნოთ ისინი ცოტა ადრე, ვიდრე მათ მთელი ჩვენი დიადი სამშობლო გაიცნობს, ისე როგორც ბესირე კონცელიძე გაიცნო.

ქევსერ შამილიშვილმა 6.774 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო ნახევარ ჰექტარ სრულმოსავლიან პლანტაციაში, ვარდო კონცელიძემ—7.431, ნაზია კონცელიძემ — 6.926, ხოლო აიშე გოგიტიძემ რეკორდი დაამყარა მთელ აჭარაში — 9.611 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიიღო ნახევარ ჰექტარ პლანტაციაში.

... მანქანა მიგვაქროლებს სოფლის შესანიშნავ გზებზე, მივყვებით მდინარე დეხვის ნაპირებს. არსიანის დათოვლილი მთები ზვიადად გადმოგვცქერის. დეხვა არსიანიდან გამოდის, ანკარა მთის წყალი მიილტვის ზღვისაკენ. კალმახებით ყოფილა ნაქები დეხვა. ათასგზის დაკლაკნილი მდინარე ხან გვერდით ჩაუვლის სოფელს, ხან შუაზე ჰყოფს, ხან თვალს მიეფარება. დეხვაც ჩამდგარა სოფლის სამსახურში. კოლმეურნეებს ელექტროსადგური აუგიათ, და ახლა მათს ოჯახებში ილიჩის შუქურა ანათებს. აგერ სკოლა, კლუბი, ახალი ოდა სახლები აქვეა ჩაის ფაბრიკა, რომელიც წელიწადში ორ მილიონ კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ამუშავებს. იგი ხუთ კოლმეურნეობასა და ერთ საბჭოთა მეურნეობას ემსახურება. მის პირდაპირ, გზის გაღმა ციტრუსების შემფუთავი ფაბრიკაა.

... გმირის სახლთან მიაყენა შექირმა მანქანა. ორსართულიანი ახალი სახლი დგას მაღლობზე, ნაძვისა და ალვის ხეებს შუა. ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციებითაა დაფარული მის ირგვლივ ფერდობები.

მაღალი კიბე ჩამოირბინა ჭრელკაბიანმა ხუჭუჭთმიანმა ქერა გოგონამ.

— მობრძანდით, მობრძანდით, — მოგვიწვია.

— ეს არის ბესირე, — მითხრა შექირმა, — როგორაა საქმე? — მიუბრუნდა შემდეგ ბესირეს.

— კარგად. დედა ნათესავთან გადავიდა, მამა პლანტაციაშია... მობრძანდით. — ხელი ჩამოვართვით.

მეტად თავაზიანი, მორცხვი გოგონაა. ტანადობა რომ არ ამხელდეს, ბავშვად ჩასთვლით.

საუკეთესო ოდა სახლი აუგია მუხამედს — ბესირეს მამას. ოთხი შვილი ჰყავს — ორი გოგო და ორი ვაჟი. უფროსი ვაჟი ინსტიტუტში სწავლობს, ბათუმში.

სასტუმრო ოთახში კედელზე დიდი სურათი შევნიშნე. ბესირე შევიცანი, სოციალისტური შრომის გმირის მედლითა და ლენინის ორდენით მკერდზე. ძალიან კარგი სურათია, ჟურნალ „ოგონიოკში" ყოფილა დაბეჭდილი.

— სურათი კარგია, მხოლოდ ორიგინალს ვერა სჯობია, — იხუმრა შექირმა. ბესირემ თავი დახარა და გაწითლდა, გატრიალდა. მერე გამოიტანა და მაგიდაზე დააწყო ჟურნალები, ალბომები.

— ეს მინსკიდან გამომიტანეს. ნახეთ, საინტერესოა, — გვითხრა მან.

ბესირეს წიგნის თაროზე ლეო ქიაჩელის ტომების გვერდით იანკა კუპალას ნაწარმოებთა ერთტომეულიც დევს.

— ჰო, ბესირე საქართველოს დელეგაციაში შედიოდა, ბელორუსი ხალხის დღესასწაულს ესწრებოდა ამას წინათ, — განმარტა შექირმა.

საწერ მაგიდაზე მთელი დასტა გახსნილი კონვერტები შევნიშნე. ამ წერილებს, ყველას ერთი მისამართი აქვს: „ქობულეთი, მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. ბესირე კონცელიძეს". საიდან არ მოსულა წერილები, საბჭოთა კავშირის რომელი კუთხიდან! ბესირეს აღმაფრთოვანებელ წერილებს სწერენ სამშობლოს პატრიოტი ადამიანები. აქ არის წერილები ბერლინიდანაც, — საბჭოთა მეომრები სალამს უძღვნიან ქართველ გმირ ქალიშვილს.

— ოჰ, მოდით, ნაზია, ვარდო, შემოდით, გენაცვალეთ! — მხიარულად გამოეგება ბესირე მეგობარ ქალებს ნაზია და ვარდო კონცელიძეებს. ისინი ბესირეს რგოლის წევრები ყოფილან.

—აი, ესენიც მალე გმირები იქნებიან, — გათამამდა მეგობრების მოსვლით ბესირე. მათ ბევრად გადააჭარბეს გმირობისათვის დაწესებულ ნორმებს.

... როცა გარეთ გამოვედით და გადავხედე ჩვენს წინ გაშლილი დიდებული ბუნების წარმტაც სანახაობას, გაზაფხულის მზით გაფერადებულს, — უნებლიეთ კვლავ ის ქალიშვილები წარმომიდგა თვალწინ. რა შესანიშნავი ადამიანები არიან,—ბეჯითნი, კდემამოსილნი და ლამაზნი. არც შეიძლება ასეთები არ იყვნენ ამ დიდებული ქვეყნის შვილები!

უთუოდ მალე აიშე გოგიტიძისა და ვარდო კონცელიძის, ბედრიე მახაძის, ქევსერ შამილაშვილისა და ნაზია კონცელიძის მისამართითაც წამოვა დასტადასტად წერილები კამჩატკის პეტროპავლოვსკიდან თუ ბერლინიდან, ჩვენი ქვეყნის სოფლებიდან და ქალაქებიდან.

მისამართი ამ წერილებისა იგივე იქნება — ქობულეთი. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა...

ვლადიმერ თორდუა

საერთაშორისო მიმოხილვა

ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ფართოვდება მოძრაობა მშვიდობის დასაცავად. აქტიურ მოქმედებას მშვიდობის დასაცავად მოითხოვს ასობით მილიონი ადამიანი. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესისა და მისი მიზნებისათვის მხარდაჭერა ნამდვილი საყოველთაო სახალხო საქმე გახდა. კონგრესის მოწვევისა და მასში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის გამოდიან ყველა ქვეყნის მოსახლეობის უფართოესი წრეები. მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის, ბრაზილიის, ბელგიის, ჰოლანდიის ათობით მასობრივი ორგანიზაცია, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხები, ჩინეთის, კორეისა და სხვ. ხალხები. ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ამ მძლავრ მოძრაობაში გამოდიან პროფკავშირები, ქალთა, ახალგაზრდობის, კულტურული, რელიგიური და სხვა ორგანიზაციები, ომის ვეტერანთა, ფაშიზმის მსხვერპლთა და სხვ. გაერთიანებანი.

ახალი ომის გამჩაღებლებს, რომლებიც გამალებით აკოწიწებენ ატლანტიკის კავშირს და ხმელთაშუა ზღვის, სკანდინავიისა და სხვ. „დამხმარე“ პაქტებს, იმედი აქვთ, რომ მოახერხებენ თავიანთი მსოფლიო ბატონობის გეგმების დამყარების განხორციელებას.

„ერთ დროს ჰიტლერელები გერმანელ ხალხს ბატონ ხალხად აცხადებდნენ, — განაცხადა მშვიდობის დამცველ სრულიად პოლონეთის კონფერენციაზე მომხსენებელმა ეჟი ბორეიშამ, — ახლა ამ თეზისს ჩაებღაუჭა ტრუმენის ბანაკი, ამერიკელ იმპერიალისტთა ბანაკი. სოციალისტური მეცნიერების უახლეს მონაპოვრად ამერიკელი იმპერიალისტები აცხადებენ კოსმოპოლიტიზმს, რომელიც პრაქტიკაში იმას ნიშნავს, რომ ხალხებს უნდა წაერთვათ დამოუკიდებლობა, დაემორჩილონ დოლარის ბატონობას. ამერიკის იმპერიალიზმის ამ თეორიას თავისუფლებისმოყვარე ხალხები უპირისპირებენ ნამდვილ ინტერნაციონალიზმს, რომელიც თანასწორი და თავისუფალი ხალხების ძმობას ემყარება“.

ახლა მშვიდობისათვის, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწყობისათვის მოძრაობა ახალ სტადიაში შევიდა. მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობს მშვიდობის დაცვისათვის კულტურის მოღვაწეთა ეროვნული კონფერენციები, რომლებზეც ირაზმებიან მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთა ძალები, ირჩევენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის დელეგატებს.

შედგა მშვიდობის დაცვისათვის კულტურის მოღვაწეთა სრულიად პოლონეთის კონფერენცია. კონფერენციები იხსნება რუმინეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. ეროვნულ კონფერენციებთან ერთად ბევრ ქვეყანაში ხდება მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ატლანტიკის პაქტის—ამ ომის პაქტისა და ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ.

აურაცხელია მშვიდობის ძალები, ვინაიდან ყველა ქვეყნის ხალხები აქტიურად ირაზმებიან მშვიდობისათვის, აგრესიის წინააღმდეგ. განა კულტურის ევროპელი მოღვაწეებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელ ვიზაზე ამერიკის მთავრობის მიერ უარისთქმაში, ყოველივე დემოკრატიულისადმი სიძულვილთან ერთად, არ გამოსჭვივის შიში მშვიდობისათვის ბრძოლის, იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ფრონტის წინაშე, რომელიც სულ უფრო ძლიერდება?

მაგრამ, როგორც უნგრეთის დემოკრატიულ ქალთა კავშირი მშვიდობის დასაცავად მსოფლიო კონგრესის მოწვევისათვის მოძრაობისადმი მიმხრობის შესახებ რეზოლუციაში წერს, „ჩვენი ძალის შეგნებამ ბრმა და ყრუ არ უნდა გაგვხადოს მზარდი იმპერიალისტური აგრესიისადმი. თავი არ უნდა დავიმშვიდოთ პაციფისტური ილუზიებით, ერთი წუთითაც არ უნდა შევწყვიტოთ ბრძოლა მშვიდობისათვის. ჩვენი მტრების დანაშაულებრივი გეგმები მხოლოდ მაშინ ჩაიშლება, თუ მშვიდობის ძალთა კავშირი მებრძოლი, მტკიცე და ურღვევი იქნება“.

ახალი ომის იმპერიალისტურ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მშვიდობისათვის ყველა ქვეყნის ხალხთა ყოველდღიური და აქტიური ბრძოლის ამოცანები მთელი პროგრესული კაცობრიობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები ხდებიან.

ახალი მნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა კავშირ-კორეის ურთიერთობაში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომელსაც ამ დღეებში მოაწერეს ხელი მოსკოვში მთელ რიგ სხვა ეკონომიურ შეთანხმებებთან ერთად საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობის სიმტკიცის ახალი გამოვლინებაა.

საბჭოთა არმიის მიერ კორეის განთავისუფლების მომენტიდან საბჭოთა კავშირი კორეელ ხალხს ყოველმხრივ უანგარო დახმარებას უწევდა და პირველმა ცნო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირმა, რომელიც პატივსა სცემს კორეელი ხალხის სუვერენიტეტს, ამერიკის შეერთებულ შტატებს წინადადება მისცა ერთსა და იმავე დროს გაეყვანათ საოკუპაციო ჯარები კორეის ტერიტორიიდან და, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს ამ წინადადებაზე, საბჭოთა კავშირმა თავისი ჯარები გაიყვანა კორეიდან.

კორეის მიმართ საბჭოთა პოლიტიკის კეთილი შედეგი ყველა მიუკერძოებელი ადამიანისათვის ცხადია. მრეწველობის ნაციონალიზაციამ, მიწის რეფორმამ, პროგრესულმა შრომითმა კანონმდებლობამ და მთელმა რიგმა სხვა რეფორმებმა, რომლებიც კორეის მთავრობამ განახორციელა, ხელი შეუწყეს კორეის სახალხო მეურნეობის უმაგალითო განვითარებას, კორეელი ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის აღმავლობას.

კორეის პრესა მხურვალედ მიესალმება მოსკოვში დადებულ შეთანხმებებს და ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ ისინი გამოიწვევენ კორეის სახალხო მეურნეობის უფრო სწრაფად განვითარებას და ხელს შეუწყობენ ორწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებას, რაც მიმართულია კორეის ეკონომიკის კოლონიური ხასიათის ნაშთების ლიკვიდაციისა და ფეოდალური ჩამორჩენილობის დაძლევისაკენ.

საბჭოთა კავშირ-კორეის შეთანხმებანი, რომლებიც დამყარებული არიან თანამშრომლობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის საწყისებზე, მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენენ იმ კაბალურ შეთანხმებებთან შედარებით, რომლებიც შეერთებულმა შტატებმა თავს მოახვიეს სამხრეთკორეელ მარიონეტებს. გასული წლის ბოლოს მარშალის გეგმის მიხედვით გაწეული „დახმარების“ შესახებ დადებულმა შეთანხმებამ ამერიკის სრული კონტროლი დაამყარა სამხრეთ კორეის ეკონომიკისადმი. საკმაოა აღინიშნოს, რომ წიაღისეულთა მოპოვება, რეზინის, საავტომობილო და ელექტრომრეწველობა მთლიანად ამერიკელთა ხელში გადავიდა. ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობა სანახევროდ და მეტად აგრეთვე ამერიკულ კაპიტალს ეკუთვნის. ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობამ გამოიწვია სამხრეთ კორეის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი დაცემა. სამხრეთ კორეაში 3 მილიონზე მეტი უმუშევარი ითვლება.

სამხრეთკორეელ ხალხს არ სურს შეურიგდეს კოლონიურ რეჟიმს და მიუხედავად პოლიციის სასტიკი რეპრესიებისა, აქტიურად ეწინააღმდეგება ამერიკელთა მიერ დაყენებული ლი სინ მანის ყველა ღონისძიებას. უკანასკნელი ცნობებით, პარტიზანული მოძრაობა სამხრეთ კორეაში მოედო 8 პროვინციას, 3 ქალაქსა და 81 მაზრას. კორეელი ხალხი მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას და ამერიკის უღლისაგან სამხრეთ კორეის მიწა-წყლის განთავისუფლებას.

აზიის კოლონიური და დამოკიდებული ხალხები, რომლებიც ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძვიან, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ბედის განსხვავებაში ხედავენ ძირითად განსხვავებას საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკასა და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მისწრაფებას შორის. საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობა, რაც სულ უფრო მტკიცდება, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გლეხობა კოოპერირებისათვის ბრძოლაში

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გლეხთა ცხოვრებაში, ამ ქვეყნების სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი პროცესები ხდება. სახალხო სახელმწიფოები მშრომელი გლეხობის სრული მხარდაჭერით ბრძოლას ეწევიან სოფლის ბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგ, ახორციელებენ კულაკობის ექსპლოატატორულ შესაძლებლობათა შეზღუდვის პოლიტიკას. ამასთან ერთად სულ უფრო ფართოვდება კოოპერაციული მოძრაობა სოფლად, სწრაფად იზრდება იმ გლეხთა რაოდენობა, რომლებიც საწარმოო შრომითს კოოპერატივებში შედიან.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა დასახეს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ამოცანა მძიმე მრეწველობის განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის გეგმიანი ორგანიზაციის მეოხებით.

ამას წინათ რუმინეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომელიც ამთავრებს ამ ქვეყანაში მემამულური საკუთრების მოსპობას. 1945 წლის მიწის რეფორმის შემდეგ რუმინეთში მემამულეთა პირად სარგებლობაში დატოვებული იყო მიწის ნაკვეთები 50 ჰექტარის რაოდენობით. კერძო მფლობელობაში რჩებოდა აგრეთვე ეგრეთწოდებული „სანიმუშო მეურნეობები“. „სანიმუშო მეურნეობათა“ მფლობელები და მემამულეები ექსპლოატაციას უწევდნენ გლეხობას, აფუჭებდნენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, აუარესებდნენ მიწის დამუშავებას. ახლა მემამულეთა საბოტაჟის ეს უკანასკნელი ბუდეები ლიკვიდირებულია.

დეკრეტი მემამულური მიწათმფლობელობის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ ამ დღეებში მიიღო აგრეთვე უნგრეთის პარლამენტმა. კულაკური ექსპლოატაციის შემზღუდველი სერიოზული ღონისძიებანი უნგრეთში მიღებულ იქნა ჯერ კიდევ გასული წლის დამლევს. კულაკებს ჩამოერთვათ მათ მიერ იჯარით აღებული მიწები, რის შედეგადაც მშრომელი გლეხობის ხელში დამატებით გადავიდა 300 ათასი ხოლდი მიწა (ხოლდი უდრის 9,57 ჰექტარს).

კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკა ხორციელდება სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში.

მნიშვნელოვანი ადგილი სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში და სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში უკავია გლეხთა ფართოდ გაჩაღებულ საწარმოო კოოპერირებას.

ამჟამად სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ყრილობები, გლეხთა ყრილობები, სადაც განიხილავენ შრომითი სამიწათმოქმედო კოოპერატივების შემდგომი განვითარებისა და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ საკითხებს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ყრილობაზე ალბანეთში აღინიშნა სოფლად კოოპერაციული მოძრაობის მნიშვნელოვანი წარმატება. თუ ჯერ კიდევ სამი წლის წინათ ალბანეთში იყო მხოლოდ 7 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომლებიც 943 ჰექტარ მიწას ფლობდნენ, ამჟამად იქ მუშაობს 56 კოოპერატივი, რომლებიც 10.780 ჰექტარ მიწას ფლობენ. მოსავლიანობა კოოპერაციულ მეურნეობებში 25-30 პროცენტით მეტია, ვიდრე კერძო სექტორში; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კოოპერატივების წევრთა კეთილდღეობა. ალბანეთის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ყრილობამ მიიღო კოოპერატივების ახალი წესდება. უფრო მეტი შესამჩნევი ძვრა მოხდა ბულგარეთის სოფელში. იქ ამჟამად არსებობს 1.114 შრომითი სამიწათმოქმედო კოოპერატივი, რომლებიც 75 ათას წევრს აერთიანებენ და 300 ათასი ჰექტარი მიწა აქვთ. მარტო 1948 წელს ერთიორად გადიდდა ბულგარეთში შრომითი სამიწათმოქმედო კოოპერატივების რაოდენობა. ბულგარეთის სასოფლო-სამეურნეო ხუთწლიანი გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია, რომ ხუთწლედის ბოლოს სოფლის მეურნეობათა 60 პროცენტი გაერთიანებულ იქნება შრომითს კოოპერატივებში, რომელთა მიწის ფართობი 3 მილიონ ჰექტარამდე გადიდდება.

კომუნისტური პარტიები, სახელმწიფო ხელისუფლება, მუშათა კლასი ახორციელებენ ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას მშრომელი გლეხობის კოოპერაციული მოძრაობისადმი, ურომლისოდაც ეს მოძრაობა სწორად და წარმატებით ვერ განვითარდებოდა. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის აღმავლობასა და მის სოციალისტურ გარდაქმნაში უდიდეს როლს ასრულებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები; მათი რიცხვი სწრაფი ტემპით მატულობს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელი გლეხობა ძალას პოულობს თავისი ქვეყნების მუშათა კლასის ხელმძღვანელ დახმარებაში, საბჭოთა კოლმეურნე გლეხობის შესანიშნავ გამოცდილებაში. პოლონელი გლეხები, რომლებიც შემთხვევით როდი იყვნენ სტუმრად საბჭოთა უკრაინის კოლმეურნეებთან, პოლონურ სოფელში კოოპერაციული მოძრაობის მგზნებარე აგიტატორები და თაოსნები გახდნენ. „ჩვენ დავრწმუნდით, რომ მხოლოდ საკოლმეურნეო გზას, მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია გლეხებს შეუქმნას ბედნიერი, შეძლებული და კულტურული ცხოვრება“, — განაცხადა კრებაზე პოლონეთში პოლონელ გლეხთა დელეგაციის წევრმა ვავრიშჩუკმა.

ა. შატილოვი
ს. ივანოვი

ინგლისის კომუნისტური პარტიის განცხადება

ინგლისში მომავალი მუნიციპალური არჩევნების შესახებ

ლონდონი, 25 მარტი. (საკდესი). ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება მუნიციპალური არჩევნების შესახებ, რაც ინგლისში მოხდება აპრილის პირველ კვირაში. განცხადებაში ნათქვამია:

„მუნიციპალური არჩევნების დროს წელს ხალხმა უნდა აირჩიოს, ერთი მხრივ, ან ზარბაზნები, ბომბები და ომი, ან, მეორე მხრივ, მუშაობა, ხელფასის გადიდება, ბინა და მშვიდობა. კონსერვატორები და მემარჯვენე ლეიბორისტი ლიდერები გაერთიანდნენ ინგლისის ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული შეიარაღების პროგრამის გარშემო, რასაც ისინი მსხვერპლად სწირავენ სოციალურ ღონისძიებებს და ჩვენი ქვეყნის საარსებო დონეს. წელს ყოველი ოჯახი გადასახადის სახით გადაიხდის 63 გირვანქა სტერლინგს სამხედრო მზადებისათვის — 9 გირვანქა სტერლინგით მეტს, ვიდრე შარშან, რათა უზრუნველყოფილ იქნას ატომური ბომბების ბაზა ამერიკელი მილიარდერებისათვის, რომელთა მიზანია ომში ჩაგვითრიონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თუ ჩვენ გვსურს ავამაღლოთ ცხოვრების დონე ინგლისში, მაშინ უნდა ვიბრძოლოთ ომის მზადების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, რუსეთთან მეგობრობისა და ვაჭრობისათვის“.

შემდეგ განცხადებაში ნათქვამია: „რატომ სულ უფრო გრძელი ხდება იმ ოჯახთა სიები, რომლებიც ბინის მიღების რიგში არიან? მთავრობის ბრძანებით რატომ უნდა მეცადინეობდნენ ჩვენი შვილები ბავშვებით გაჭედილ კლასებში? რატომ არ შენდება მთავრობის ბრძანებით ბაგები, სკოლები, სამედიცინო პუნქტები? რატომ არ დიდდება ხელფასი სიძვირის ზრდის შესაბამისად? ყველა ამ კითხვის პასუხი ერთია: მთავრობა კონსერვატორთა და დიდ კაპიტალისტთა მხარდაჭერით მილიონებს ხარჯავს ომის იარაღისათვის და ხალხს ართმევს ბინებსა და პირველი საჭიროების საქონელს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდნენ მას მშვიდობით ეცხოვრა უკეთეს პირობებში...

წელს ყოველი მეთოთხმეტე მუშა იქნება შეიარაღებული ძალების რიგებში ან სამხედრო მრეწველობაში“.

რეზოლუციის დასკვნითი ნაწილი შეიცავს მოწოდებას — ხმა მისცენ კომუნისტებს, რომლებიც ხალხის ინტერესთა საგუშაგოზე დგანან და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ყველაზე გაბედული მებრძოლები არიან.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის წინ

პარიზი, 25 მარტი. (საკდესი). როგორც მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელი კომიტეტი იუწყება, მან იმ ორგანიზაციებისა და პირებისაგან, რომელნიც 300 მილიონი კაცის სახელით გამოდიან, მიიღო განცხადებანი იმის შესახებ, რომ მათ სურთ მონაწილეობა მიიღონ კონგრესის მუშაობაში.

ამ უკანასკნელ ხანს განცხადებანი, კერძოდ, მიღებულია ტუნისის ქალთა კავშირისაგან, ამსტერდამის გონებრივი შრომის მუშაკთა დროებითი კომიტეტისაგან, ჰოლანდიელ მუშათა ლიგის კომიტეტისაგან, ბულგარეთის მღვდელთა და საეკლესიო მოღვაწეთაგან, ბულგარეთის სოფლის მეურნეობის მუშათა პროფესიული კავშირისაგან, რომელიც 1.300 ათას კაცს აერთიანებს, და რუმინეთის მშრომელი და სტუდენტი ახალგაზრდობისაგან.

საფრანგეთში კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი განაცხადეს ტულონის პროფკავშირებმა, ელექტროქსელისა და ძალდანადგართა მუშაკების პროფკავშირებმა, ბულონ-ბიანკურის (სენის დეპარტამენტი) მეტალურგიული მრეწველობის, რენოს ქარხნების მუშათა პროფკავშირებმა და სხვებმა.

პრაღა, 25 მარტი. (საკდესი). ტელეპრესის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, რომ იქ ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა მშვიდობის დასაცავად.

მდგომარეობა ინდონეზიაში

ჰააგა, 25 მარტი. (საკდესი). გაზეთი „დე ვაარჰეიდი“ ცენტრალური იავიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნავს, რომ ჯოკიაკარტის რაიონში, აგრეთვე კუნძულ სუმატრაზე მძიმე ბრძოლებია ჰოლანდიის ჯარებსა და ინდონეზიელებს შორის. კორესპონდენტი იუწყება, რომ ჯოკიაკარტის სამხრეთით ჰოლანდიელებმა საპარაშუტო დესანტი გადასხეს. ჰოლანდიის ბომბდამშენები და ავიაგამანადგურებლები უშენენ და ბომბავენ ინდონეზიელთა მშვიდობიან სოფლებს იავასა და სუმატრაზე. შეიარაღებული შეტაკება ხდება მადიუნის რაიონში. ინდონეზიელები ნაღმავენ გზებს, შლიან ჰოლანდიელთა ჯარების კომუნიკაციებს.

იტალიის სენატში

ტერაჩინის გამოსვლა

რომი, 24 მარტი. (საკდესი). სენატის გუშინდელ საღამოს სხდომაზე გამოსულმა უმბერტო ტერაჩინიმ (კომუნისტი) ამხილა სიცრუე და ცილისწამება, რომლებსაც „მთავრობა ავრცელებს პარლამენტსა და პრესაში საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ იმ იმედით, რომ გაამართლოს იტალიის ეროვნული ინტერესების გამცემლობა და იტალიის შეყვანა ამერიკის აგრესიულ სამხედრო ბლოკში“.

ტერაჩინიმ იმ მიზეზების ახსნისას, რომლებმაც მთავრობა აიძულეს დათანხმებოდა ამ დისკუსიას, განაცხადა, რომ დე გასპერი, უწინარეს ყოვლისა, ცდილობდა მიეღო ნდობის ახალი ვოტუმი, რათა ხელ-ფეხი გაეხსნა საგარეო პოლიტიკის დარგში, ვინაიდან გასული წლის დეკემბერში პალატამ, როგორც ცნობილია, მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთავრობას არ ანიჭებდა რწმუნებას ხელი მოეწერა სამხედრო პაქტზე. გარდა ამისა, მთავრობა იმედოვნებდა შეემსუბუქებინა იმათი მძიმე პასუხისმგებლობა, ვინც ხელს მოაწერს ომისა და აგრესიის პაქტს.

ატლანტიკის პაქტში იტალიის შეყვანის პოლიტიკის შორეული ფესვები, — აღნიშნა შემდეგ ტერაჩინიმ, — უნდა ვეძიოთ 1947 წლის დამლევს ამერიკის შეერთებულ შტატებში დე გასპერის ცნობილ გამგზავრებაში. იქიდან მოიტანა მან დავალება გაეთიშა ხალხის შინაგანი ერთიანობა, რათა შემდეგში ეს გათიშვა გამოეყენებინა საერთაშორისო მასშტაბით გათიშვის განსამტკიცებლად.

სფორცა ერიდება ატლანტიკის პაქტის პოლიტიკის ამ წყაროების ხსენებას და თავის „არგუმენტაციაში“ ემყარება იმას, რომ იტალიისათვის „აუცილებელია“ მიემხროს დასავლეთის ბლოკს. ეს „არგუმენტი“, რასაც პაქტის ყველა დამცველი იყენებს, გაისმის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „სულთათანა“ და სავსებით ცხადყოფს, თუ რაოდენ ფარისევლურია ამ ორგანიზაციის წესდების დამოწმება, რასაც ატლანტიკის პაქტის ტექსტი შეიცავს.

შემდეგ ტერაჩინიმ მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, რომლებიც მოწმობენ ინგლის-ამერიკის ბლოკის მისწრაფებას — ძირი გამოუთხარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და პასუხისმგებლობა ამისათვის საბჭოთა კავშირს დააკისრონ.

ასევე უაზრო და ყალბია სფორცას ცდა, — განაგრძო ტერაჩინიმ, — სსრ კავშირი დასახოს დასავლეთი ევროპის ეკონომიური თანამშრომლობისა და აღდგენის მოწინააღმდეგედ. ეს თეზისი რომ დაამტკიცოს, იგი იძულებულია მიჩქმალოს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, სახელდობრ, რომ ამერიკის „დახმარების“ მთელი პოლიტიკა და, უწინარეს ყოვლისა, მარშალის გეგმა, ნავარაუდევია, როგორც სისტემა, რომელიც პრინციპულად გამორიცხავს სსრ კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნებთან თანამშრომლობას.

სფორცამ იცრუა და იმის ნებაც კი მისცა თავის თავს, რომ პირდაპირ გაეყალბებინა ფაქტები, როცა სენატში განაცხადა, თითქოს საბჭოთა კავშირსა და ახალი დემოკრატიის ქვეყნებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში ერთობლივი თავდაცვის ღონისძიებათა მიღების საფუძვლად მიჩნეულია „აგრესიის საფრთხე“. სფორცა ცდილობდა დაემალა პარლამენტისათვის, რომ ამ ხელშეკრულებებში საქმე ეხება „აგრესიას ან აგრესიის საფრთხეს გერმანიის მხრივ“. მაშ სად ხედავს სფორცა დასავლეთი სახელმწიფოების თუნდაც არაპირდაპირ მოხსენიებას?

დასავლეთის სამხედრო ბლოკში იტალიის შეყვანას, რასაც იტალიის მთავრობა ცდილობს, არავითარი დიპლომატიური და იურიდიული გამართლება არა აქვს. იგი წარმოადგენს ცდას — იტალიელ ხალხს დააკისროს ნაწილი პასუხისმგებლობისა ისეთი მდგომარეობის შექმნისათვის, რომელიც უკვე ორი მსოფლიო ომის წყარო გახდა.

ტერაჩინი შეეხო ატლანტიკის პაქტის პირობებს და მთავარი ყურადღება მიაქცია მე-4 მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების დამდები ქვეყნების „პოლიტიკური დამოუკიდებლობის“ დაცვას. შემთხვევითი როდია, — თქვა მან, — რომ ამ პაქტის ავტორებმა ჩვეულებრივი გამოთქმა „ეროვნული დამოუკიდებლობა“ შეცვალეს ახალი ცნებით „პოლიტიკური დამოუკიდებლობა“. ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა გულისხმობს ერისა და მისი ბუნებრივი საზღვრების ერთიანობას და ხალხის უფლებას — პოლიტიკური წყობილება თავისი სურვილისამებრ დაამყაროს. „პოლიტიკური დამოუკიდებლობა“ კი გულისხმობს არსებულ მთავრობათა და რეჟიმთა შენარჩუნებას, ეროვნული ერთიანობის საკითხებისაგან დამოუკიდებლად, როგორც გერმანიის მიმართ ხდება. ატლანტიკის პაქტი, — თქვა დასასრულ ტერაჩინიმ,—მთავრობას, პირველ რიგში, იმისათვის ესაჭიროება, რომ განამტკიცოს საკუთარი ხელისუფლება იტალიაში. მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს ატლანტიკის პაქტი გამოიყენოს პირადი გადარჩენისათვის, მან უნდა იცოდეს, რომ მთელი ხალხი აღდგება თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად!

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე კომუნისტმა პროფესორმა ბანფიმ, რომელმაც განაცხადა, რომ „ცივილიზაციის დაცვის“ ალმით ატლანტიკის პაქტის მიღებინების ცდა დანაშაულებრივი ფარისევლობაა.

საღამოს სხდომაზე ოპოზიციის სახელით გამოვიდა სოციალისტი სენატორი ჯუა, ხოლო მთავრობის უმრავლესობის სახელით — ქრისტიანი დემოკრატები ბერტონე და კარარა. ამათ აზრი გამოთქვეს ატლანტიკის პაქტისადმი იტალიის მიმხრობის სასარგებლოდ.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 23 მარტი. (საკდესი). გუშინ საფრანგეთის ეროვნული კრების სხდომაზე პარლამენტის კომუნისტური ჯგუფის თავმჯდომარემ ჟაკ დიუკლომ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ განხილვა კომუნისტური ჯგუფის მიერ შეტანილი რეზოლუციისა მთავრობის დაგმობის შესახებ 1949 წლის 9 ნოემბრისათვის გადაიტანეს. ამ რეზოლუციაში ლაპარაკია ვიეტნამში ომის შეწყვეტაზე.

იმავე სხდომაზე ჟაკ დიუკლომ კომუნისტური ჯგუფის სახელით შეიტანა წინადადება, რათა მოწვეულ იქნას საპარლამენტო ჯგუფების თათბირი ატლანტიკის პაქტის საკითხზე კამათის დაუყოვნებლივ დაწყების შესახებ გადაწყვეტილების გამოსატანად. მაგრამ, რა კი ამ წინადადებაზე არავითარი პასუხი გაცემული არ იყო, ჟაკ დიუკლომ წინადადება შეიტანა დღის წესრიგის შეცვლის შესახებ. ამ წინადადებას ხელს აწერს 30 დეპუტატი-კომუნისტები, პროგრესული რესპუბლიკელები და აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების წევრები. „ატლანტიკის პაქტის საკითხის განხილვა საჭიროა იმიტომ, — თქვა დიუკლომ, — რომ ამ პაქტზე ხელმოწერით საფრანგეთი საშიშ გზას ადგება... ატლანტიკის პაქტი საოცრად მოგვაგონებს წარსული საუკუნის საღვთო კავშირს. მაგრამ, — თქვა დიუკლომ, — ახლანდელ საღვთო კავშირს, ისევე როგორც წარსული საუკუნის საღვთო კავშირს, ხალხის მასების წინააღმდეგობა დაამსხვრევს“. დიუკლომ ცხადყო, რომ ბრიუსელის პაქტიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„ვინ და უჭერს მხარს ამ პაქტს? სალაზარზე, ფრანკოსა და დასავლეთი გერმანიის ნაცისტებზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, პაქტს იწონებს ინგლისელი ფაშისტი მოსლი, რომელიც კმაყოფილებით ხვდება ყოველ მოქმედებას, რაც მიზნად ისახავს ევროპისა და ამერიკის ერთიანი ფრონტის შექმნას კომუნიზმის წინააღმდეგ.

ამრიგად, — თქვა დიუკლომ, — მზადდება იდეოლოგიური ომი, ამრიგად სურთ ომი გამოუცხადონ იდეას“.

„თუ მთავრობა არ დაეთანხმა იმას, რომ განხილულ იქნას ჩვენი ინტერპელაცია, — თქვა დასასრულ დიუკლომ, — ამით იგი მოგვცემს იმის საბუთს, რომ მთავრობა მალავს სიმართლეს, ხოლო ხალხს უფლება აქვს სიმართლე იცოდეს. მაშინაც კი, როდესაც ხალხი ყოველთვის მთლიანად ვერ გრძნობს მოსალოდნელ საფრთხეს, იგი გამსჭვალულია გადაწყვეტილებით მთელი ღონით დაიცვას მშვიდობა“.

კენჭისსაყრელად დასმული წინადადება დღის წესრიგის შეცვლის შესახებ უარყოფილ იქნა 410 ხმით 182 ხმის წინააღმდეგ.

საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევის საკითხის განმხილველმა ეროვნული კრების მუდმივმა კომისიამ განიხილა წინადადება ფლორიმონ ბონტის, მარსელ კაშენისა და მორანის წინააღმდეგ დევნის დაწყების შესახებ. რვა ხმით ექვსი ხმის წინააღმდეგ რეზოლუციის მომხსენებლად ფლორიმონ ბონტისათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევის შესახებ არჩეულ იქნა მონტიიო („თავისუფლების რესპუბლიკური პარტია“). მარსელ კაშენისა და მორანისათვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევის შესახებ რეზოლუციის მომხსენებლებად დაინიშნენ კომუნისტი-დეპუტატები მადლენ ბრაუნი და პიერარი.

მზადება ა. ს. პუშკინის იუბილესათვის

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონში ემზადებიან დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისათვის. კულტურის სახლში, სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ა. წერეთლის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტსა და ბიბლიოთეკებში მოწყობილია ა. ს. პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენები.

მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განყოფილების ლექტორიუმის ძალებით კულტურის სახლში, ენგურის ქაღალდის კომბინატში, ჩაის საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლებში მოეწყობა ლექცია-მოხსენებები ა. ს. პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. სამასწავლებლო ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრა ამზადებს მოხსენებათა ციკლს თემებზე: „ა. ს. პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება“, „ა. ს. პუშკინი ქართულად“, „ა. ს. პუშკინი და თანამედროვეობა“ და სხვ.

ფიზკულტურული მოედნებისა და ბაზების შეკეთება

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა დაიწყო მზადება საზაფხულო სასპორტო სეზონისათვის. ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში ფართოდ გაჩაღდა მუშაობა ფიზკულტურული მოედნებისა და ბაზების შესაკეთებლად და წესრიგზე მოსაყვანად. დაწყებულია და გაცხოველებით მიმდინარეობს თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის მოედნის შეკეთება.

მიმდინარეობს აგრეთვე მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ჩოგბურთის კორტების შეკეთება. წესრიგზე მოჰყავთ სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ჩოგბურთის კორტები.

დიდი მზადებაა მომავალი საფეხბურთო სეზონისათვის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე. მიმდინარეობს სკამების რემონტი, დაწყებულია სამუშაოები სარბენი ბილიკისა და სათამაშო მოედნის შესაკეთებლად და კეთილმოსაწყობად.

ქალაქის მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების ფიზკულტურული ორგანიზაციები შეუდგნენ თავიანთი ფიზკულტურული მოედნების შეკეთებას.

სტუდიელთა საჩვენებელი სპექტაკლი

ორშაბათს, 28 მარტს, საღამოს 8 საათზე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შედგება თეატრთან არსებული სტუდიის საჩვენებელი სპექტაკლი. წარმოდგენილი იქნება ნაიდენოვის პიესა „ვანიუშინის ოჯახი“. სპექტაკლის დამდგმელია პედაგოგი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელენე დონაური.

თეორიული კონფერენცია

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური პარტიული სკოლის ეკონომიურ მეცნიერებათა კათედრა 29 მარტს, საღამოს 6 საათზე (შ. ჩიტაძის ქ. № 6. მე-17 აუდიტორია), აწყობს თეორიულ კონფერენციას თემაზე: **„კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავება მეორე მსოფლიო ომის შემდეგად“.**

დასწრება თავისუფალია.

ლექცია

29 მარტს, საღამოს 6 საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის სალექციო დარბაზში (საბჭოს ქ. № 134), ამხ. კ. სულეიმანი წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

28 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორი ამხ. კ. სულეიმანი წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს თბილისის აეროპორტი

ყოველდღიურად წარმოებს ჩქარი სამგზავრო კომფორტაბელური და მაგარი თვითმფრინავების რეგულარული რეისები მოსკოვის, ქუთაისის, სოხუმის, ადლერის, კრასნოდარის, როსტოვის, ოდესის, სიმფეროპოლის, ახალქალაქისა და წნორის მიმართულებით.

თბილის-მოსკოვის სამგზავრო რეისს სჭირდება 6 საათი.

ჩქარ თვითმფრინავებზე მგზავრთათვის არის ბუფეტი.

ყოველდღე 8-დან 22 საათამდე წინასწარ იყიდება ბილეთები ყველა მიმართულებით. მოწყობილია ბილეთების შინ მიტანა. სამხედრო მოსამსახურენი თვითმფრინავის ბილეთის ყიდვისას წარადგენენ რკინიგზით მგზავრობის სამხედრო მოთხოვნებს და დამატებით იხდიან ავიატარიფის განსხვავებას. სახელმწიფო, სამეურნეო ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობებისაგან თვითმფრინავით გადასაზიდავად ტვირთი მიიღება განუსაზღვრელი ოდენობით. ტვირთი მიიღება ყველა აღნიშნული მიმართულებით გადასაგზავნად. წარმოებს ხელშეკრულებათა დადება ტვირთის მიმოზიდვაზე.

ცნობების მიღება შეიძლება თბილისის აეროპორტის საქალაქო სააგენტოში. მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 22, ტელეფონი № 3-59-66 და აეროპორტის მიმოზიდვის სამსახურში, მისამართი: თბილისის აეროპორტი, ტელეფონი № 3-73-61 და 3-10-21.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტრესტი „საქმომარაგება“ აცხადებს, რომ მას მიღებული აქვს სხვადასხვა მარკის და ზომის საბეჭდი მანქანები რუსული შრიფტით. მანქანების ფასი საგრძნობლად დაკლებულია.

ცნობების მიღება შეიძლება ტრესტ „საქმომარაგებაში“, ბერიას მოედანი № 10, ტელეფონი № 3-62-60.

ა. წ. 8 აპრილს, საღამოს 7 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 8)

შედგება საქართველოს სს რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მე-18 ტირაჟი.

ტირაჟში მონაწილეობას მიიღებენ მეანაბრეთა ყველა ანგარიშები, რომლებზეც ა. წ. 1 აპრილისათვის ირიცხება მომგებიანი ანაბრების ნაშთი.

ტირაჟზე დასწრება მოსაწვევი ბილეთებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

თეატრებში

ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	27-III	„დაისი“ კიკალეიშვილის შემოქმედებითი საღამო	დღისით აბ. გარეშე
რუსთაველის სახელობის	27-III	„ჩაძირული ქვები“ „ჩაძირული ქვები“	დღისით 12 აბ. 7 ნარმ.
მარჯანიშვილის სახელობის	27-III 28-III	„ნინოშვილის გურია“ „მოძღვარი“ „ვანიუშინის ოჯახი“ (სტუდიის საჩვენებელი წარმოდგენა)	დღისით აბ. გარეშე
მუსიკალური კომედიის	27-III	„არშინ მალ-ალან“ „სამთა სიყვარული“	დღისით აბონ. გარეშე

შვილები ნიკოლოზ და ეკატერინე, სიძე ვასილ ბერიძე, რძალი მარიამ, შვილიშვილები თენგიზ, გივი, ლიანა და გივი იუწყებიან **ანა პეტრეს ასულ მეფისაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-III, 3 ს. პეტრიაშვილის, 4.

მამიდა მარო, ნინო, კუკური, ჯემალ პაჭკორიები იუწყებიან **ბიჭიკო აკაკის-ძე ჯაშის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27-III, 5 ს. მარის, 40. დაკრძალვა ფოთში.

რ. ყენია, მ. ბარნაბიშვილი, მ. კემულარია, თ. უთნელიშვილი, გ. ვაჩეიშვილი, თ. ჩიქვილაძე, თ. ასათიანი, ე. კვახაძე, ვ. მაისურაძე, მ. მორჩაძე, ო. ჯიბლაძე თანაგრძნობას უცხადებენ ნ. კალანდარიშვილს მისი დედის **ფაცია მეიშვილის** გარდაცვალების გამო.

პროფესორი გ. ინასარიძე, თ. ბიბილეიშვილი, მ. მგელაძე, გ. გოგიბერიძე, ო. თოდაძე, ნ. მხეიძე, მ. დათაშვილი, ე. იმნაძე, თ. მაისურაძე, ნ. მელაშვილი, შ. კოპიუკი და ნ. დოისინიდი თანაგრძნობას უცხადებენ ა. უშვერიძეს მისი მეუღლის **ტატიანას** გარდაცვალების გამო.

მშობლები ელენე და დავით, ძმა ბორის, ბიძა კირილე, ბიძაშვილი ალიოშა სურმავები, ბებია ესა, ბაბუა ნესტორ, ბიძები შოთა, ბეგლარ დანელიები, მატრონა სიგუა ოჯახით იუწყებიან **ნელი სურმავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28-III, 7 ს. გამოსვენება 29-III, 5 ს. ვარცისის, 12.

ა. მხეიძე, ა. ჯაველიძე, ე. კვირკველია, ნ. გვარამია, ვ. გურგენიძე, ზ. თოფურია, რ. წერეთელი, გ. მჭედლიშვილი, შ. ჭალაგანიძე, ო. ხევსურიანი, მ. კუკულაძე, მ. ბურჭულაძე, დ. ჭანტურია, ა. კაკაბაძე, ქ. ღოლობერიძე იუწყებიან ა. უშვერიძის მეუღლის **ტატიანას** გარდაცვალებას.

ბახტაძე, ქიტარაძე, ქარუხნიშვილი, ბაქრაძე, ვადაჭკორია, ალადაშვილი, ჯ. და გ. იმედაშვილები, არდიშვილი, ფრუიძე, ბოკერია, სვანიძე, მაისურაძე, ცომაია, სანებლიძე, ღოლობერიძე, გოცირიძე, ნადარეიშვილი და ც. და ს. ალადაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ გ. უშვერიძეს მისი დედის **ტატიანას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოს— 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 118.000 უე 00732